საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ძაგძაგიც ბეჭდვეტი სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიტებით ბეტთის გაფანა ცვეღა უკადცისიბაზე უსამაგღესია.

ოთხშაბათი, 2 თებერვალი. 2022 წ. №19 (9357) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რა მოგველის 2050 წლისთვის?!

ქალის ქალზე და კაცის კაცზე დაქორწინების შედეგი

საქართველოს ჭრელჩემოდნიანი სტუმრები

სტატია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ მას აქტუალურობა არ დაუკარგავს, რადგან, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, **„უცხოელი მოკეთეების“** დაგეგმილია და ყველაფერი **„გრძელვადიანია“.**

სამწუხაროდ, **„გრძელვადიან“** უცხოურ პროექტებში არ შედის:

ქვეყნის აშენება, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ქვეყნის დალაგება და დაწყნარება, მტრად მოკიდებული მეზობლების შემორიგება, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და კიდევ უამრავი რამ, რაც ნორმალურ ქვეყანაში, ნორმალური ცხოვრებისთვისაა მისაღები და აუცილებელი!

პრობლემას პრობლემა ემატება, პარლამენტში მჯდომი და ქუჩაში მოშლიგინე **„პოლიტ-ჭილყვავი“** აქამდე ვერ გარკვეულა, რა ხდება უკრაინაში.

– პირველი, – ფრთხილობს ქვეყანასთან ერთად საკუთარი კეთილდღეობაც არ დაკარგოს!

– მეორე კი, – არაფერს იშურებს იმისათვის, რომ „უკრაინასთან მეგობრობის“ საბაბით, ქვეყანა ცეცხლში გახვიოს და ამ გზით მოვიდეს ხელისუფლებაში!

მე თუ მკითხავთ, როგორ ხართ ამ უბედურებაშიო? რომ იტყვიან, – „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ ისეა ჩემი საქმე!

10 დღით შევუერთდი, ჩვენი **„უცხოელი მოკეთეების“** მიერ შექმნილ, **„კოვიდად“** წოდებულ **„ჭირთა-ჭირთან“** მებრძოლთა რიგებს და დრო თავზე საყრელად მაქვს!

რომ არა ეს შემთხვევა, ამ სტატიასაც ვერ მივაგნებდი!

სტატია, რამდენიმე წლის წინ, მიუნხენის აეროპორტში, **„ლუფტჰანზას“** ტერმინალში დაიწერა. საკვირველი სანახავი იყო **„ჭრელჩემოდნიანი სტუმრების“** სიმრავლე, ქართველ მგზავრებს რომ ჭარბობდნენ...

იხ. 4-5 გვ.

② ირაკლი კობახიძე: ომის პარტიას აშკარად სურს იხილოს ომი უკრაინაში

პარლამენტმა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა 74 ხმით უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის შესახებ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს. დოკუმენტი საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, გიორგი ხელაშვილის, მაკა ბოჭორიშვილის, ლევან ქარუმიძის, გივი მიქანაძის და თამარ ტალიაშვილის მიერ არის შემუშავებული.

რეზოლუციით საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის გამო და გმობს ყოველგვარ განზრახვას, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული, რაც ახალ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რეგიონულ მშვიდობასა და უსაფრთხოებას. **ოპოზიციამ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას ხმა არ მისცა.**

სოციალურად და პოლიტიკურად გამოფიტული ③ საზოგადოება ისევ ღინებას მიჰყვება!

ჯრო ცვლილებებისა?

⑦ ცბიერი პუტინის გეგმები ღღემდე ბუნდოვანია!

„სულაქერი“ და „ბლიპერა“

ქართველი ექიმების გამოგონებები კოვიდთან ბრძოლაში ⑥

რით ვიკვებებით, ხალხნო!

ანუ ნამცხვარი, რომელიც არ ძველდება! ⑧

ირაკლი კობახიძე: „ომის პარტიას“ აშკარად სურს, იხილოს ომი უკრაინაში – მათი ნაბიჯების შედეგია, რომ დღეს რუსეთის ჩაბარებული აქვს ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის 20 პროცენტი!

„აშკარად სურთ, იხილონ ომი უკრაინაში. ეს პირდაპირ გამოსჭვივის მათი საუბრებიდან. მგონი, ესეც არ აკმაყოფილებთ და უნდათ, რომ ასეთი პროცესები კიდევ ერთხელ იხილონ საქართველოში“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პარლამენტში, ჟურნალისტების მიერ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის შესახებ.

ირაკლი კობახიძის თქმით, რეზოლუციის ტექსტი ზუსტად ისეა ჩამოყალიბებული, როგორც ეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამება.

„საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, ჩვენ პრინციპული პოზიციები, პრინციპული პოლიტიკა გვაქვს. ეს, მათ შორის, შესაბამის ტექსტებში, ყოველთვის აისახება. რაც შეეხება დღევანდელ ოპოზიციას, რომელიც, თავის დროზე, ოპოზიციაში იყო, შეგახსნებთ, მათი ნაბიჯების შედეგი არის ის, რომ დღეს რუსეთის ფედერაციას აქვს ჩაბარებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20%. როგორც ჩანს, ეს არ ჰყოფნით, მეტი უნდათ. ეს არის ერთგვარი „ომის პარტია“, აშკარად სურთ, იხილონ ომი უკრაინაში. ეს პირდაპირ გამოსჭვივის მათი საუბრებიდან. მგონი, ესეც არ აკმაყოფილებთ და უნდათ, რომ ასეთი პროცესები კიდევ ერთხელ იხილონ საქართველოში. რაც მათ 2008 წელს გააკეთეს საქართველოში, იმას ვეღარ გაიმეორებენ ერთი მარტივი მიზეზის გამო – ისინი დღეს ოპოზიციაში არიან და იქ კიდევ დიდხანს დარჩებიან. გვაცადონ იმ საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომლის მიზანიცაა მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოში“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მამუკა მდინარაძე: ამ ქვეყანაში მართლა რაღაც სამარი და საბრძოლო რომ გახდეს, ისევ ჩვენი საბრძოლველი იქნება...

„თუ „ნაცმოძრაობა“ მხარს არ დაგვიჭერს, დიდი უბედურება ჩვენთვის არ იქნება იმიტომ, რომ მათი მხარდაჭერილი რეზოლუცია გვახსოვს, სადაც ქართველი სამხედროები დაადანაშაულეს ომის დაწყებაში. მათი რეზოლუციების მხარდაჭერის პათოსიც და მოტივაციაც კარგად ვიცით, საეჭვო, დადასტურებული თუ გამყარებული არგუმენტებით. ეს ჩვენ წარსულში გვაქვს.

არსებობს საკითხები ასეთ რთულ თემებთან დაკავშირებით, რომელზეც არის გარკვეული ფრაზები, ან წინადადებები ან ამბები კულისებში და არ შეიძლება მე აქ ამ თემებზე ვილაპარაკო. ჩვენ რაღაც საკითხებიც გავიარეთ კიდეც იმ ხარისხით, სადამდეც შეიძლებოდა ამის დაშვება და თუ აქ ეროვნული ინტერესი არ უნდა გავითვალისწინოთ, მაშინ კი ბატონო. ძალიან არ მინდოდა, თქვენს პოზიციაზე დათანხმება იმიტომ, რომ მე თქვენს პოზიციას არ ვეთანხმები, მაგრამ მეორე ნაწილში ისეთი რაღაც თქვით, მართლა რაღაც ამ ქვეყანაში საომარი და საბრძოლო რომ გახდეს, ისევ ჩვენი საბრძოლველი იქნება და ზოგიერთებს ვერ გავასწრებთ, ძალიან რომ მოგვინდეს და შევშინდეთ და ასეთი არ დაგვემართება, ვერც სარფიდან და ვერც წითელი ხიდიდან. არავინ მებრძოლი არ არის ამ თემებთან დაკავშირებით. ღმერთმა არ ქნას, ასეთი საჭიროება ჩვენს ქვეყანას დაუდგეს“, – განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

გრიგოლ ვაშაძე: მიუღებელია ეს გაუთავებელი ბოიკოტი!

მიუღებელია ეს გაუთავებელი ბოიკოტი, შესვლა, გამოსვლა და ისევ შესვლა, პარლამენტში მუშაობა ორსულობასავით ან ფულივით არის, ან გაქვს, ან არ გაქვს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა გრიგოლ ვაშაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკურ ბრძოლაში როდესაც ჩაბმული ხარ და ამომრჩევლებს ხმებს სთხოვ, შემდეგ ამ ხმებს რეალიზაცია სჭირდება. ვაშძის განცხადებით, პარლამენტში ოპოზიციის ყველა წევრის ხმა უნდა ისმოდეს.

„მე 2020 წელს რა გავაკეთე, გახსოვთ. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ეს გაუთავებელი ბოიკოტი, შესვლა, გამოსვლა და ისევ შესვლა. პარლამენტში ან ხარ, ან არ ხარ. ადამიანი ნახევრად ორსულად არ შეიძლება იყოს. პარლამენტში მუშაობა ორსულობასავით ან ფულივით არის – ან გაქვს, ან არ გაქვს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ის, რომ ოპოზიციის ყველა წევრის ხმა უნდა ისმოდეს პარლამენტში, ყველა უნდა მოქმედებდეს იმისთვის, რომ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც უკვე სულ მცირე ექვსი წელიწადია, მძვინვარებს საქართველოში, ეკონომიკურთან და სოციალურ კრიზისთან ერთად, გადავლახოთ“.

2 აპრილს რუსთავსა და ბათუმში შუალედური არჩევნები გაიმართება

2 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება. შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი განკარგულებები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გუშინ გამართულ სხდომაზე მიიღო.

2022 წლის 2 აპრილს ამომრჩევლები საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარს რუსთავში აირჩევენ, ბათუმში კი საკრებულოს მაჟორიტარს. შუალედური არჩევნებისთვის რუსთავსა და გარდაბანში 117 საარჩევნო უბანი, ხოლო ბათუმში 14 საარჩევნო უბანი გაიხსნება. **შეგახსენებთ, რომ შუალედური არჩევნები საქართველოს პარლამენტის და ბათუმის საკრებულოს გამოკლებული წევრების ასარჩევად ტარდება. პარლამენტი ნინო ლაცაბიძემ მას შემდეგ დატოვა, რაც რუსთავის მერად აირჩიეს, ხოლო ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ჯემალ ფუტკარაძე გარდაიცვალა.**

2021 წელს ექსპორტზე გავიტანეთ 1 142 მლნ აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია

2021 წელი გამორჩეული იყო ქართული ექსპორტისათვის. **ადგილობრივი წარმოების ექსპორტი ახალ ისტორიულ მაქსიმუმზეა, პირველად გადააჭარბა 3 მილიარდ დოლარს (3127 მლნ დოლარი) და ზუსტად 2-ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (1561 მლნ დოლარი). 2021 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტმა 1 142 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 124%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს,** – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ქართული ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ახალი ხილის ექსპორტის ღირებულებამ, 2021 წელს, 213 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, კაკლოვანი ხილი, ძირითადად თხილი (118 მლნ აშშ დოლარი), მანდარინი (26 მლნ აშშ დოლარი), ატამი და ვაშლატამა (29 მლნ აშშ დოლარი), ვაშლი (8 მლნ აშშ დოლარი), ხურმა და კარალიოკი (6 მლნ აშშ დოლარი), მოცვი (6 მლნ აშშ დოლარი).

2021 წელს, ახალი ბოსტნეულის ექსპორტმა 28 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, კარტოფილი (17 მლნ აშშ დოლარი), პომიდორი (3 მლნ აშშ დოლარი), მწვანილი (4 მლნ აშშ დოლარი).

ასევე, 2021 წელს, ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა: მინერალური და მტკნარი წყლები (142 მლნ აშშ დოლარი), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (58 მლნ აშშ დოლარი), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – ცოცხალი (33 მლნ აშშ დოლარი, ცხვრები და თხები – ცოცხალი (26 მლნ აშშ დოლარი).

შესაბამისად, სულ უფრო მცირდება უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. აგროსასურსათო სექტორში, 2021 წელს, 2012 წელთან შედარებით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მაჩვენებელი 72%-ით შემცირდა.

ამერიკის ელჩი ანაკლიაში ჩავიდა და... გული მოუკვდა!

ანაკლიის პორტის პროექტის ჩავარდნას საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას უწოდებს. **მან განცხადება შავის ზღვის გამოწვევების თემაზე გამართულ ონლაინ კონფერენციაზე გააკეთა, რომელსაც სხვა ამერიკელი მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ.**

დეგნანის შეფასებით, საქართველოს უნდა ჰქონდეს რაღაც, რასაც მაგიდაზე დადებს და პარტნიორებს შესთავაზებს, ამისთვის კი ანაკლიის პორტი საუკეთესო საშუალება იქნებოდა:

„რამდენიმე დღის წინ ფოთში ვიყავი, სადაც პორტი მოვინახულე და ეს ადგილი ნამდვილად მიმზიდველი ადგილია ბიზნესისთვის, თუმცა ამის შემდეგ ანაკლიაში ჩავედი და ის ადგილი დავათვალიერე, პორტი რომ უნდა ყოფილიყო და გული მეტკინა. წელს იქ ნავსადგური გახსნილი უნდა ყოფილიყო და გემებიც უნდა მოძრაობდეს. ეს ადგილი ბიზნესისთვის უნდა ყოფილიყო გახსნილი. ვფიქრობ, ეს ნამდვილად ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა. ჩვენ ვხედავთ, როგორ იხსნება რეგიონი და საქართველოს უნდა ჰქონდეს რაღაც, რასაც მაგიდაზე დადებს და პარტნიორებს შესთავაზებს. ფოთისა და ბათუმის პორტებთან ერთად, ანაკლიაც რომ იყოს, საქართველოს მართლაც ბევრი რამ ექნებოდა შესათავაზებელი“...

დევნილებისა და ეკომიგრანტების მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო!

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განაცხადების მიღება დაიწყო. დევნილთა სააგენტოს ცნობით, პროგრამის მიზანს დევნილთა და ეკომიგრანტთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს.

დევნილები და ეკომიგრანტები, რომლებიც მეწარმეობით არიან დაკავებული, საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად 7 500 ლარის ფარგლებში დაფინანსდებიან. ჯამში, გრანტს 26 მეწარმე მიიღებს, რომლებიც მინიმუმ ერთი დევნილის ან ეკომიგრანტის დასაქმების ვალდებულებას აიღებენ.

„ამ ეტაპზე, პროგრამაში მონაწილეობა იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუძლიათ, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ეწევიან. პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება 25 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

ბიზნესგეგმა, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, სააგენტოში, მის ტერიტორიულ სამსახურებში მიიღება: თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა; გორი, სამების ქ. №1; რუსთავი, კოსტავას ქ. №20; ქუთაისი, აბაშიძის გამზ. №27; ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №106.

ბიზნესგეგმის და თანდართული დოკუმენტაციის გამოგზავნა შესაძლებელია სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზეც – info@idp.gov.ge.

პროგრამა პროექტის – „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ (EPIC) მხარდაჭერით ტარდება, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) სახელით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს“, – აცხადებენ დევნილთა სააგენტოში.

სოციალურად და პოლიტიკურად გამოფიტული საზოგადოება ისევ დინებას მიჰყვება!

დრო ცვლილებებისა?

ნიშანდობლივია, რომ NDI-ს ბოლო გამოკითხვაში არც ერთი ბლოკი არ დაეთმო მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ქურდულად შემოპარვის თემას, მოვლენის რეზონანსულობისა და შედეგების მიუხედავად. არაერთი მიზეზი შეიძლება ივარაუდო, მათ შორის ისიც, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებით კიდევ უფრო გაამწვავებდნენ პოლარიზაციას, შეიძლება ჩათვალეს, რომ რესპოდენტთა შესაძლო ნეგატიური დამოკიდებულება ისევ სააკაშვილის დააზარალებდა, ან ეს იყო სიგნალი სააკაშვილისთვის, რომ დასავლეთისთვის ის უკვე აღარ წარმოადგენს „ოქროს ბიჭუნას“ და ცვლილებების „დრაივერს“.

აღნიშნულ გამოკითხვაში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა დოზით ენდობა მას, აშკარად იკითხება მოქალაქეების სურვილი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ისედაც იგრძნობა. ეს გახლავთ ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების არა მხოლოდ უბრალო სურვილი, არამედ გარკვეულწილად მოთხოვნაც. ამის ირიბი ნიშანია თუნდაც არსებული პოლიტიკური კლასის და ლიდერების მიმართ მზარდი უნდობლობა.

მოსახლეობა ხვდება რომ ქვეყანაში ცვლილებების დროა, თუმცა ვერც პოლიტიკურ და ვერც საზოგადოებრივ სფეროში ვერ ხედავს ცვლებების „დრაივერ“ ლიდერებს, რომლებსაც ხელეწიფებათ და სურთ ცვლილებები. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაში ძლიერდება და მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება ქართული პოლიტიკურ კლასში სერიოზული გადატვირთვის მოთხოვნა. თუმცა, როდის გახდება ეს მოთხოვნა მკაცრი და შეუქცევადი, ამის განჭვრეტა რთულია, რამდენიმე მიზეზის გამო. არსებულ პოლიტიკურ კლასს და დაინტერესებულ მხარეებს ჯერჯერობით მყარად უპყრიათ ხელთ ის სადავეები, რომლითაც პოლიტიკაში საკუთარ არსებობას იხანგრძლივებენ. ისინი ცდილობენ და არცთუ წარუმატებლად, ძირშივე აღკვეთონ არსებული რეალობის „გადატვირთვის“ ნებისმიერი მცდელობა. თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით და პანდემიით გათანგული და გადაღლილი საზოგადოებაც, რომელსაც სურს ცვლილებები, არ აქტიურობს იმისათვის, რომ ეს სურვილი რეალობად აქციოს. მიხეილ სააკაშვილი, მათთვის აღარ წარმოადგენს ცვლილებების „შუქურას“, ისე როგორც 2003 წელს. ისინი ასევე ვერ ხედავენ პოზიტიური ცვლილებების პოტენციალს სხვა, მათ შორის, ახლადშექმნილი პარტიების ლიდერებშიც.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან საბოლოოდ წასვლის შემდეგ, მასთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი იმედები ცვლილებების და გარღვევის მოხდენაზე თანდათან მინელდა, რადგანაც მოსახლეობის თვალში ამის გაკეთება მხოლოდ პოლიტიკურად აქტიურ ივანიშვილს შეეძლო. მის გრძელვადიან საქველმოქმედო პროექტებს მოსახლეობა დადებითად კი ხვდება, მაგრამ ცვლილებებს პირდაპირ ვერ უკავშირებს, რადგანაც ჩვენი კულტურულ-მენტალური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბევრს მაინც „დღევანდელი კვერცხი“ ურჩევნია.

ისევ ჩვენი ქართული ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ცვლილებების მოსურნე რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურთ ისწავლონ, თუ როგორ მოახდინონ ცვლილებების სურვილის მატერიალიზაცია, ლოდინის რეჟიმში ურჩევნიათ იცხოვრონ. ეს ლოდინის რეჟიმი კი სინამდვილეში ყალბი კომფორტის ზონაა, როდესაც მოქალაქეებს სურთ, ნარის მოკრეფის ფუნქცია ე.წ. „მხსნელ ხელს“ გადააბარონ. ეს მოცემულობა და მისი შედეგები ჩვენმა საზოგადოებამ ბოლო 30 წლის მანძილზე ოთხჯერ გამოიარა. ჯერ ზვიად გამსახურდიას მიანდეს ქვეყნის ბედი და ნარის მოკრეფის მისია, თავად კი მაყურებლის როლში დარჩნენ, შემდეგ შევარდნაძეს, შემდეგ სააკაშვილს და ბოლოს ივანიშვილს.

ამ ეტაპზე „მხსნელი ხელი“ ჰორიზონტზე არ ჩანს, ხოლო იგივე NDI-ს გამოკითხვით „მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში პროგრესს ვერ ხედავენ“, ხოლო უმრავლესობა უკმაყოფილოა მთავრობით, პარლამენტით და პარტიებით. რატომღაც, არც NDI-ს და არც სხვათა სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებსაც პრაქტიკული გამოყენების გარდა, არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაზე სამეცნიერო შეხედულებების ფორმირების ფუნქციაც გააჩნია, არ ცდილობს „სიღრმეებში ჩასვლას“. მაგალითად, ის არ ინტერესდება რესპოდენტების პასუხით კითხვაზე, თუ რატომ მიაჩნიათ, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება და თავად რას მიიჩნევენ სწორ განვითარებად? გამოკითხვა არ ინტერესდება, რატომ არის, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის 77-88% მხარდაჭერის პირობებში, ეროვნული მნიშვნელობის საკითხების ჩამონათვალში მხოლოდ 2% მიიჩნევს ამ სტრუქტურებში გაწევრებას პრიორიტეტად?

2021 წლის არჩევნებამდე არსებობდა ასპარეზზე ახალი ფორმაციის ლიდერების გამოსვლის ფრთხილი მოლოდინი და ოპტიმიზმი, რომელიც არ გამართლდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფრთხილი მოლოდინი და ოპტიმიზმი არსებობს 2024 წლის არჩევნებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად, პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად გამოფიტული ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა, ცვლილებების სურვილის მიუხედავად, მაინც დინებას მიჰყვება.

ზაალ ანჯაფარიძე

კახა კალაძე: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დასუფთავების გადასახადი არ გაზრდილა!

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა. მისი თქმით, მოქალაქეებს დასუფთავების გადასახადი არ გაზრდიათ და ის ფაქტი, რომ მათ გაორმაგებული გადასახადები მიიღეს, არ შეესაბამება სიმართლეს.

თბილისის მერიის ინფორმაციით, ფიზიკური პირებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე თვეში 2,5 ლარით არის განსაზღვრული. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, თბილისის საკრებულოს №4-12 დადგენილების (27.12.2021წელი) თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიაზე იურიდიული პირებისთვის განისაზღვრა დასუფთავების მოსაკრებლის ახალი განაკვეთები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პირები დეკემბრის მოსაკრებელს კვლავ ძველი ტარიფით გადაიხდიან, ხოლო იანვრის ქვითარში ახალი ტარიფი აისახება.

ყველანაირი უკანონო მშენებლობა დღეს უკვე სისხლის სამართლებრივი დანაშაულია

უკანონო მშენებლობების თითოეული ფაქტი სისხლის სამართლებრივი დანაშაულია, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ კომპანია „მოდუსის“ მიერ სავაჭრო ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, მედიასთან განაცხადა. წლების განმავლობაში უნებართვო მშენებლობებთან საბრძოლველად შესაბამისი კანონი არ არსებობდა.

„კომპანია „მოდუსისთვის“ რეკრეაციულ ზონაში სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ნებართვა არავის მიუცია. მსგავსი ბევრი ფაქტი არსებობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ შესაბამისი კანონი არ არსებობდა. ძალიან დაბალი ჯარიმა იყო დაწესებული. კომპანიები თავისუფლად იხდიდნენ მას და განაგრძობდნენ მშენებლობებს. ჩვენ ამ პრობლემას დავუპირისპირდით. ჩვენი ინიციატივით, უკანონო მშენებლობები სისხლის სამართლებრივ დანაშაულად მიიჩნევა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ კომპანია „მოდუსმა“ კერძო ტერიტორიაზე უკანონოდ ააშენა კომერციული დანიშნულების შენობა. თბილისის მერიას აღნიშნული მშენებლობის ნებართვა არ გაუცია, შესაბამისად, რამდენჯერმე დაჯარიმდა ჯამში, 245 ათასი ლარის ოდენობით. მერიის ცნობით, უკანონო მშენებლობებზე მუნიციპალური ინსპექცია მყისიერად რეაგირებს კანონის ფარგლებში. მათივე თქმით, მეტიც, პრევენციის მიზნით, თბილისის მერის ინიციატივით, გასული წლის შემოდგომაზე პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებით შემოიღო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა.

რუსეთი უარს აცხადებს საქართველოსა და უკრაინიდან სამხედროების გაყვანაზე...

ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კრემლის აგრესიასა და მოსალოდნელ ომზე იმსჯელეს.

აშშ-ის წარმომადგენელმა ლინდა ტომას გრინვუდმა რუსეთი დესტაბილიზაციურ ქმედებებში დაადანაშაულა, რასაც სხვა გამომსვლელებიც დაეთანხმნენ: **„2014 წელს რუსული არმია უკრაინაში, 2008 წელს კი საქართველოში შეიჭრა და ამ დრომდე უარს აცხადებს ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან სამხედროების გაყვანაზე“,** – თქვა გრინვუდმა.

„2008 წელს რუსეთი ამტკიცებდა, რომ საქართველოს საზღვრებთან სამშვიდობოებს აგზავნიდა, სინამდვილეში კი დემოკრატიულ ქვეყანაში შეიჭრა. 2014 წელს ყირიმში საკუთარი ძალების არსებობას უარყოფდა, თუმცა რაც მოხდა ყველამ ვნახეთ. დღესაც იმავე სცენარის წინაშე ვართ. რუსეთი აქტიურად ეწევა დეზინფორმაციის კამპანიას, ახორციელებს კიბერშეტევებსა და სუვერენული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ დესტაბილიზაციის შემცველ ქმედებებს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა მხოლოდ რეგიონული შეჭრა არ იქნება. იცოდეთ, რომ ომს გამარჯვებული არ ეყოლება“, – თქვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჯეიმს კაროუკიმ. რუსეთის წარმომადგენლის თქმით, რუსული ჯარების გადაადგილება რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და სხვა ქვეყნებს უფლება არ აქვთ მისი შეჩერება მოითხოვონ.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2022“ მარტში გაიმართება

ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებას NATO-GEO EX 2022 საქართველო მარტში მესამედ უმასპინძლებს. სწავლებას დაგეგმვიდან აღსრულების ფაზის ჩათვლით ქართული მხარე უხელმძღვანელებს და მასში მონაწილეობას ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები მიიღებენ.

სამი დღის განმავლობაში, „ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში“ (JTEC) სწავლების დაგეგმვის საბოლოო კონფერენციაზე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებისა და ქართული მხარის წარმომადგენლებმა საბოლოო დეტალები შეაჯამეს. კონფერენციაზე სპეციალურად ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნების ცენტრის მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ჯოზეფ სპიშაკი და ვიცე-პოლკოვნიკი გაბორ ენდროდი იმყოფებოდნენ. ნატოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეებმა, გენერალ-მაიორმა ზაზა ჩხაიძემ და ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ გამართეს. შეხვედრებზე მხარეებმა ნატო-საქართველოს სწავლების დეტალები განიხილეს. საუბარი ასევე ნატოსთან თანამშრომლობის სამომავლო გეგმებს შეეხო.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2022“ ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) ჩატარდება. სწავლებაში მონაწილეობას 20-ზე მეტი ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები მიიღებენ.

ქალის ქალზე და კაცის კაცზე დაქორწინების შედეგი

საქართველოს ჭრელჩემოდნიანი სტუმრები

(პირველი გვერდიდან)

თუ ვინმე პირდაუბანელ და გაუპარსავ, მოუთავებელი სახის ჭრელჩემოდნიან მგზავრს შენიშნავთ ევროპიდან (არა მარტო ევროპიდან) საქართველოსკენ თვითმფრინავით მიმავალს, უტყუარია, იგი რომელიმე **„ევრო-ამერიკული“** ჰუმანიტარული ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იქნება.

დიდი ხანია ისინი **„მშვიდობის მტრედის, განმანათლებლისა და მხსნელის“ მისიით ჩამოდიან ჩვენს სამშობლოში. ამ ბოლო დროს კი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იხუვლეს!**

ჩემს ბავშვობაში, იმ შეზარხოშებულ რუს ოფიცერზე მომდიოდა ბრაზი, სამშობლოსკენ მომავალ ილია ჭავჭავაძეს რომ უხსნიდა („მგზავრის წერილები“) რუსეთის მისიას საქართველოს წინაშე!.. მესირცხვილებოდა, – **საქართველოს და ილიას რა სჭირდა რუსის სასწავლი-მეთქი**!

ვაი, მართლა სირცხვილო! ის, ლოთობისგან ცხვირგაწითლებული რუსი ოფიცერი სანატრელი გაგვიხდა იმათთან შედარებით, ვის აღსაზრდელებადაც შევარდნაძემ და მისმა სულიერმა შვილმა მიშა-შეურაცხადმა აქცია ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო!

...მართლაც დიდ ინვესტიციებს დებენ დასავლეთში **„ღვთის შვილთა განსწავლისთვის“** (ღმერთმა ქნას, რომ მისი მეათედი, ჩვენ, ჩვენი სამშობლოს მომავალი გენოფონდისთვის შევიძლოთ!..). ცხადია, ეს ინვესტიციები უნდა გაამართლონ, მიღებული **„სწავლა-განათლება“** სადმე, რაღაცაში უნდა გამოიყენონ და საგანგებოდ **„მომზადებული კადრები“** დაასაქმონ.

„ევრო-ამერიკული“ – „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების“ და ე. წ. „განვითარების“ პროექტით, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო, – სწორედ ამ საგანგებოდ **„მომზადებული კადრების“ „ცოდნისა და გამოცდილების“ სარეალიზაციო პოლიგონად იქცა!**

ამასთან ერთად, საქართველო, მათი შეფასებით **„მაღალი რისკის ქვეყანაა“** და ყველა აქ ჩამომსვლელმა უცხოელმა, იმის გარდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ღირსების ორდენს დაჰკიდებს კისერზე (აქამდე ასე იყო!), ჯიბეშიც მაღალი და ღირსეული ჯამაგირი უნდა ჩაიდოს!.. თან ერთ თვეში იმდენი, ქართველი აკადემიკოსი 10 წელიწადში რომ ვერ მიიღებს!

ამერიკაში არ ვიცი, როგორ არის, მაგრამ ჩემს სამშობლოში ასეთ **„წარმატებულ“** შვილებს, თვალზე სიხარულის ცრემლმომდგარი ქართველი დედა ეტყვის – **„დედა გენაცვალოსო!“**

მეც, თქვენს დედებს რომ ვენაცვალე და შემოვევლე, ჩვენო უცხოელო „დამკვირვებლებო“ (არ ვიცით, რისი დამკვირვებლები ხართ, – სეირის ალბათ!), ჩვენი ბედით დიდად შეწუხებულებო: – მუხლის ჩოქებზე რომ დაგვიდგეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, შეგვეხვეწონ – მობრძანდით, გვაპატიეთ, თუ რამე გაწყენინეთ, დაბრუნდით თქვენს სახლებშიო, – ეშმაკი ვერ გაგყრით თქვენ საქართველოდან და ცხვირს არ შეგვაყოფინებთ არც ერთგან!

თქვენი ამბავი რომ ვიცი, ბოლო წუთამდე შეასრულებთ **„ინტერნაციონალურ ვალდებულებებს“**, რათა თქვენს ჯამაგირს ცენტი არ მოაკლდეს!

თუმცა თქვენ რას გემართლებით, ან რატომ უნდა გვქონდეს თქვენი იმედი, როცა საკუთარ სახლში, ევროპაში, ერთმანეთს შორის ვერ მოგიგვარებიათ ურთიერთობები!

შარშან, **„დემოკრატიული“** ევროპის შუაგულში, სამხრეთ ტიროლის ოკუპაციის 95-ე წლისთავი აღინიშნა. მეც ვიყავი მიწვეული ამ იუბილეზე.

უნიკალურად აღნიშნა იგი ორივე მხარემ: – სამხრეთ ტიროლდაკარგულმა ავსტრიამ – **გლოვით**!

– სამხრეთ ტიროლის მიმტაცებელმა იტალიამ – **ავსტრიისთვის სამხრეთ ტიროლის წაგლეჯის დამკანონებელი, ფაშისტი მუსოლინის სურათებით საახალწლო კალენდრებზე!**

მე ადრეც ვწერდი ამ თემაზე. იგი ჩემი სულიერი ტკივილია და ადვილად არ მეთმობა, ვინაიდან ჩემთვის ყველა სოფელი, ყველა ხეობა, ეკლესია-მონასტერი და ციხე-კოშკი სამხრეთ ტიროლში ისეთივე ახლობელია, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

უამრავი ჩამოსული და ადგილობრივი დაესწრო ბოცენ-ში (იტალიურად – ბოლზანო) სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა სულის მოსახსენიებელ წირვას. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, ვერ შევძელი იქ ჩასვლა, მაგრამ ავსტრიელი მწერლის და ისტორიკოსის როლფ შტეინინგერის წიგნიდან **„სამხრეთ ტიროლი პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე“** (რომელსაც ქართულად ვთარგმნი) გადავწერე ერთი რვაგვერდიანი თავი. მოქმედი პირები და ადგილმდებარეობის სახელები შევცვალე აფხაზეთით და სამაჩაბლოთი, მისასალმებელი ორი წინდადება წავუმძღვარე და ასე მივაწვდინე ხმა 95 წლის მანძილზე სამხრეთ ტიროლის თავისუფლებას შეწირულთა (იქ დღესაც გრძელდება ბრძოლა სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის) ჭირისუფლებს!

მოგვიანებით, ჩემი მეგობარი, საქართველოს დიდი ქომაგი და სამხრეთ ტიროლის დიდი პატრიოტი, დოქტორი რაინერ გაისლერ შვარცენბერგი მიყვებოდა: **„წირვაზე მოსული საზოგადოება თვალცრემლიანი უსმენდა ქალბატონ ქრისტინე ფონ შპილმანს, შენგან გამოგზავნილ მიმართვას რომ კითხულობდა... ყველამ საკუთარ ტკივილად აღიქვა ის, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოხდაო!“**

ასე ტყუპისცალივით, წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს ევროპის შუაგულში, **ავსტრიაში** და შორეულ კავკასიაში, **საქართველოში**, უწყინარი ხალხების თავზე დატეხილი ტრაგედიები, **რომელთა მშველელი არავინაა – არც კავკასიასა და არც ევროპის შუაგულში!**

ორივეგან ხალხის გასაჭირზე ფული კეთდებოდა მხოლოდ და კეთდება დღესაც!

ერთხელ უკვე მოვუყევი, ჩემს მკითხველს ამის შესახებ, მაგრამ იმედი მაქვს, იგი არ მიწყენს, თუ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნათლად გავიგოთ:

ჩვენი პატრონი საკუთარი თავის გარდა, არავინ არის დედამიწაზე და ამიტომ ამ თემას ხშირად უნდა მივუბრუნდეთ, ზოგიერთი გონებადაბინდული ჩვენი თანამემამულე რომ გამოვიყვანოთ საღათას ძილიდან!

* * *

...**ხშირად** გვესმის მავანთაგან: „საქართველომ **უნდა იხსნას კაცობრიობა, ჩვენ განუმეორებელი მისია გვაკისრია!“**

დიდებული მოსასმენია, იმედს მაინც გვმატებს, საარსებოს თუ არა! მაგრამ, ზოგჯერ გვავიწყდება: თუ ამხელა პასუხისმგებლობას ვიღებთ დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, მაშინ გვევალება კიდეც, ჯერ საკუთარი თავი გადავირჩინოთ **„ჩვენი, ზოგადსაკაცობრიო, მისიონერული ვალის გამო!“**

ერთმა ჩემმა უცხოელმა მეგობარმა, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, მთავრობის სახლთან გამართული **„ტაშ-ფანდურის“** შემყურემ, დიდი გულისტკივილით და მობოდიშებით მითხრა: **„მხოლოდ სულელების გარემოცვაში შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი შეურაცხადმა!.. ქართველები და მათი პრეზიდენტი ამის შესანიშნავი მაგალითიაო!“**

ძნელია უცხო სტუმარს არ დაეთანხმო, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგს არც ეს მოიტანს, თუკი ქვეყნის მოსახლეობა არ მიხვდა, რა მოელის მას!

2013 წლის თებერვალში, გერმანიაში მორიგი **„ბესტსელერი“** გამოჩნდა წიგნების მაღაზიებში. ავტორი გერმანული წარმოშობის ებრაელი გეორგ ფრიდმანი გახლავთ. მისი წიგნი **„შემდეგი ასი წელი“** ფანტასტიკურად რეალურ ფორმებში წინასწარმეტყველებს დედამიწის მერმისს, მომავალი ასი წლის მანძილზე. წიგნი ინგლისურად დაიწერა და რამდენიმე თვეში მრავალ ენაზე, მათ შორის, გერმანულადაც ითარგმნა. მე მას ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ არა ერთი ჩემი გერმანელი მეგობარი, რომელმაც მისახსოვრა იგი და ვრცელი მინაწერიც მოაყოლა:

„ძვირფასო დავით.

დარწმუნებული ვარ, წინამდებარე წიგნი, რომელმაც წაკითხვისთანავე ამიწეწა ფიქრები, საინტერესო იქნება შენთვის. თვალწინ გადამეშალა ცოდვილი მსოფლიოს რუკა და ჩემი სამშობლოს – გერმანიის შემდეგ, ფიქრებმა საქართველოში გადამისროლა, მაშინვე შენ გამახსენდი... კიდევ ერთხელ მივუბრუნდი შენთან ერთად, მრავალგზის ნაკამათევ თემებს – „ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი დინასტია“, „ტრადიცია და მისი უგულებელყოფა“, „უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა გერმანიასა და საქართველოში“

გამახსენდა, ჩემს ნათქვამზე: გერმანიაში ერთ სულ მოსახლეზე მატება 0,8%-ზე დაბლა ჩამოვიდა!“

შენი კომენტარი: „გერმანელებს გაგიმართლათ, რომ ბავშვები დაბადებისას თავით მოდიან ამ ცოდვილ მიწაზე, თორემ ამიერიდან ყველა გერმანელი უთავოდ დაიბადებოდაო!“

კიდე ერთხელ ვიცინე (ქართულ გამოთქმას ვიხმარ), ამჯერად „სიმწრის სიცილით!“

ერთნაირი ბედი გველის გერმანელებს და ქართველებს მომავალი ასი წლის მანძილზე, მაგრამ, რაც გინდა გასაკვირი იყოს, თქვენ, 5 მილიონიან ქართველებს გაცილებით დიდი შანსი გაქვთ გადარჩენის, ვიდრე ჩვენ, 80 მილიონიან გერმანელებს და იგი შემდეგში მდგომარეობს:

ჩემი სამშობლო გერმანია და გერმანელები, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სახე მიიღო და ცივილიზაციას ეზიარნენ, მუდამ სხვის დაპყრობაში და სხვისი მიწების შემოერთებაში იყვნენ გართულები. უამრავი პატარა ხალხები და სახელმწიფოები არსებობდნენ გერმანიის ფრთის ქვეშ.

– სუსტი იყო გერმანია, სუსტი და დამშეული იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები!

– ძლიერი იყო გერმანია, ძლიერი და მაძღარი იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები!

გერმანია, სხვებზე ბატონობას იყო მუდამ მიჩვეული და სხვისი ფრთის ქვეშ ვერ მოთავსდება. იგი ამას ვერ აიტანს და მისი გადაშენება გარდაუვალია!

სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე საქართველოს სინამდვილეში. თუ რომელიმე ერზე ითქმის

რა მოგველის 2050 წლისთვის?!/ინფორმაცია

დედამიწის ზურგზე „მათი ისტორია გამუდმებული ომების ისტორიააო!“, ეს პირველ რიგში ქართველებზე ითქმის. ამ მამაცმა ხალხმა გაუძლო დროის გამოცდას და ათასწლეულები გამოიარა დღემდე!

ჩვენ ადრეც არა ერთხელ გვიკამათია ამ საკითხზე, – თუ რამ გააძლებინა საქართველოს მუდმივად სხვადასხვა დამპყრობლის უღელქვეშ.

ყოველთვის მახსოვს სამხრეთ საქართველოში შენს მიერ მოყოლილი და შენთან ერთად ნანახი ისტორიული ძეგლები, რომლებიც ხან მონღოლების, ხან სპარსების, ხანაც თურქების მიერ დაპყრობილ კუთხეში შენდებოდა (საფარის სამონასტრო კომპლექსი მიდგას თვალწინ, ამ სტრიქონებს რომ ვწერ)!.. რა ძალა შეაძლებინებდა იმდროინდელ ქართველობას ამ სასწაულებს?

შენ კარგად იცი ჩემი პასუხი:

– ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციების და წეს-ჩვეულებების ერთგულება, სიამაყე, რომ ქართველი ვარ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!

მსოფლიოში 500 წელზე მეტხანს არც ერთ დინასტიას არ უარსებია ბაგრატიონების გარდა. მეამაყება, რომ ამ ქვეყანაში და ამ ხალხთან ერთად მომიწია წლების განმავლობაში ცხოვრება და მუშაობა.

თუ ქართველები არ უღალატებენ ათასწლეულების მანძილზე გამოცდილ, ზემოთ ნახსენებ თვისებებს, გერმანელებისგან განსხვავებით 21-ე საუკუნის შუაწლების კატასტროფას გაუძლებენ და რომელიმე დიდი მეზობლის „სახურავის“ ქვეშ იარსებებენ; აქამდე მოტანილ, ეროვნულ და კულტურულ სიმდიდრეებსაც წარმატებით განავითარებენ. დარწმუნებული ვარ, ჩემს არასასიამოვნოდ მოსასმენ დასკვნებს, ჩემი უსაყვარლესი ქართველების შეურაცხყოფად არ მიიღებ, – ეს მწარე რეალობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერც გერმანელი და ვერც ქართველი ვერ გაექცევა!

ზემოთ ვახსენე, - ჩემი ერი არ არის სხვისი კალთის ქვეშ ყოფნას ჩვეული-მეთქი. სხვები იყვნენ მუდამ მის კალთას შეფარებული. ამიტომ მას ის იმუნიტეტი არ გააჩნია, რაც ქართველობას და დაიღუპება!

ქართველებს პირიქით, – მათ ათასწლეულების მანძილზე გამოუმუშავდათ დამპყრობლებთან ბრძოლის და უკიდურეს შემთხვევაში მათი ფრთის ქვეშ ცხოვრების იმუნიტეტი, ამიტომაც თქვენ გადარჩებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუკი ზეწოლას გაუძლებთ და არ გაგიქრებათ ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ერთგულება, სიამაყე რომ ქართველები ხართ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!



ჩემო ძვირფასო დავით, იმედი მაქვს ჩემი წერილი კიდევ უფრო დიდი ინტერესით განგაწყობს წინამდებარე წიგნისადმი და ველოდები შენგან შემოხმიანებას!

პატივისცემით

პროფ. დრ. რ. ფონ არნიმი“

წელიწადი გავიდა ამ წერილის წაკითხვიდან და მას აქამდე ვერ მივუბრუნდი. მიმაჩნდა, რომ ჯერ კიდევ არ არის ისე კატასტროფულად ჩვენი საქმე და მოიძებნება გამოსავალი, მაგრამ ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მარწმუნებს, რომ არათუ ფიქრის დრო გაგვაჩნია, – დიდი ხნის დაგვიანებულია კიდეც და მართლა ღვთის სასწაული თუ არა, ჩვენი გადარჩენის შანსი არ არსებობს!

– გაიხსენეთ, მიშა-შეურაცხადის განცხადებები და ბრძანებები:

„რაც შეიძლება მალე უნდა გავამერიკელდეთ!“, „ინგლისური ენის უცოდინარი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი დიპლომს ვერ მიიღებს!“

– დააკვირდით: პროფ. დრ. რ. ფონ არნიმის გაფრთხილება, ზემოთხსენებულ ორ **„განცხადება-ბრძანებაშია“ გაცამტვერებული!**

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ გაცილებით ადრე გვეუქრება გადაშენება, ვიდრე გ. ფრიდმანის წიგნში ნახსენები საშიშროების ზარი ჩამოჰკრავდეს!

* * *

გერმანელებს, ეტყობა, კარგად აქვთ შეგნებული კარს მომდგარი დემოგრაფიული კატასტროფა და ისინი ყველანაირ ზომებს მიმართავენ ამ უბედურებისგან თავის დასაღწევად. საქმე იქამდის მივიდა, რომ რამდენიმე წლის წინ, ქვეყნის საგარეო საქმეთა მამაკაცი მინისტრიც კი გათხოვდა, მაგრამ **გერმანელთა დემოგრაფიულ კატასტროფას, გიდო ვესტერველლეს თავგამოდებამ, დღემდე ვერაფერი უშველა!**

წარმატებას, არც სქეს და გონებამანიპულირებულ ქართველთაგან უნდა ველოდოთ (მიუხედავად ახალი მთავრობის და ახალი იმედებისა), რომლებსაც ტელეეკრანს არ აცილებენ, ახალი, „ევრო-ამერიკული გადაგვარების“ დროის სამთავრობო მედაფდაფენი!

რაც შეეხება გ. ფრიდმანის წიგნს, იგი ცდება ფანტასტიკის სფეროს და საკმაოდ პრაგმატულადაა დასაბუთებული მოსალოდნელი დემოგრაფიული ცვლილებები დედამიწის ზურგზე, რომელიც უახლოეს 50 წელიწადში რადიკალურად შეცვლის ძალთა თანაფარდობას ქვეყნებს შორის და ამ ქვეყნების სახელმწიფო საზღვრებსაც!

ეს წერილი არ ითვალისწინებს გ. ფრიდმანის წიგნის განხილვას, მაგრამ, სანამ მკითხველი თვითონ წაიკითხავდეს მას, მოკლედ გაგაცნობთ მის შინაარსს, თუ რას ეფუძნება ავტორის სენსაციური განცხადება, რომ დღემდე შემორჩენილი ორი იმპერია აშშ და რუსეთი 2050 წელს სასწაულებრივად დაიშლება:

„ამ დროისათვის მათი განვითარების დონე ზენიტს მიაღწევს. იმდენ იარაღს შექმნიან, მისი მართვის საშუალება არ ექნებათ. ტექნიკის განვითარებას ნახევარ გზაზე ვერ მოსდევს საკუთარი მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდის ტემპი, რაც იმას ნიშნავს: მათ მოწინააღმდეგეებს იარაღის წარმოება არც დასჯირდებათ, ამერიკელების და რუსების მიერ დამზადებულ სომარ მანქანებს შემოასხდებიან და დამთავრებულია კიდეც ფულის ძალით ცოდვილი დედამიწის ზანზარი!“

ეს მარტივად და ზედაპირულად! სერიოზულად კი, დაინტერესებული მკითხველი გ. ფრიდმანის წიგნს (ქართულად მას არავინ თარგმნის, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოში განსახორციელებელ **„ევრო-ამერიკულ“** ილუზიებს) ორიგინალში გაეცნობა!

მანამდე, კიდევ ერთი გულგასახეთქი ამონარიდი ამ წიგნიდან, – ...2050 წლის მსოფლიო რუკაზე კავკასია მთლიანად გადაწითლებულია და იქ თურქეთის გარდა არც ერთი სახელმწიფო არ ჩანს... გ.ფრიდმანს მე ვერ მოვთხოვ სტატიაში ხსენებულ „საქართველოს **ზოგადსაკაცობრიო, მისიონერული ვალის“** ცოდნას და 2050 წლის კავკასიის რუკაზე საქართველოს არ დანახვას!

იქნებ სასარგებლოც იყოს ფრიდმანის **„შეცდომა“** რომ, სანამ სხვებს გადავარჩენდეთ:

ჯერ საკუთარი თავი უნდა ვიხსნათ გადაშენებისგან?!

სხვა მხრივ, გ. ფრიდმანის ლოგიკა მარტივია: **თურქები გამრავლებას „მითაუამური“ მეთოდით აგრძელებენ!**

ქართველები კი, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრას: **ქალის-ქალზე და კაცის-კაცზე „ევრო-ამერიკული“ დამყნობის წესით აპირებენ!**

ერთი ანეკდოტი გამახსენდა ამ თემაზე, როცა ამ მეთოდით გატაცებულ სომხებს და აზერბაიჯანელებს ჰკითხეს, როგორ მიდის გამრავლების საქმეო:

“эксперименты продалжаются, пока результатов нет!

Оказывается, таким методом дети не рождаются-о!!!

ეს ანეკდოტი დიდი ხნის წინ ითქვა. ასევე, დიდი ხანია:

ჩვენი მეზობლები მიხვდნენ „ექსპერიმენტის“ უაზრობას, მამაპაპურ მეთოდს მიუბრუნდნენ და საქართველოში მოსახლეობის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მატება, მხოლოდ მათ ხარჯზე ხდება!

ქართველები კი, ამ საქმესაც **„ვარდისფერი სათვალეებით“** უყურებენ!

ხომ არ არის ყველაფერი ეს **ევროპის და ამერიკის აეროპორტებიდან, საქართველოში ჩამოფრენილი „ჭრელჩემოდნიანი“ მგზავრების „რუდუნების“ შედეგი?**

მკითხველმა თვითონ გამოიტანოს დასკვნა:

ვისგან რა ისწავლა და რა სიკეთე მოუტანა მამაპაპური ტრადიციების უარყოფამ!

დავით ქოგალია

ზურაბ აზარაშვილი კელი დეგნანს შეხვდა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აშშ-ის ელჩს საქართველოში კელი დეგნანს შეხვდა. მხარეებმა ერთობლივი პროექტები განიხილეს.

მათივე ინფორმაციით, ყურადღება გამახვილდა პანდემიის საკითხებზე და კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესზე. მინისტრმა დიპლომატს სოფლად ვაქცინაციის კამპანიის ახალი ეტაპის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრაზე მხარეებმა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებებიც განიხილეს. იმსჯელეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე. განიხილეს შრომის პირობების მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობაც.

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ შევხვდი ჯანდაცვის მინისტრს ზურაბ აზარაშვილს და მის ახალ მოადგილეს. ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, რა თქმა უნდა, კოვიდ-19, ასევე სხვა მნიშვნელოვანი თემები, რასაც აღნიშნული სამინისტრო მოიცავს. აშშ-ს საქართველოსთან 30-წლიანი, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ვმუშაობდით საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე. ვმუშაობთ C ჰეპატიტის ელიმინაციის, ასევე იმუნიზაციის პროგრამებზე. დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სერვისების გაძლიერებაზე, – განაცხადა კელი დეგნანმა.

რუსთავის მერმა ექვს ფარმაცევტულ კომპანიასთან მემორანდუმს მოაწერა ხელი

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ექვს სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

მემორანდუმის თანახმად, ფარმაცევტული კომპანიები, რუსთავის მერიის „მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე, მედიკამენტებს კვირის ნებისმიერ დღეს ფასდაკლებით გასცემენ.

„2022 წლიდან მედიკამენტებით დახმარების პროგრამა გავაორმაგეთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი მაინც არ არის. დღეს ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომელსაც რამდენიმე სააფთიაქო ქსელი შემოუერთდა. მემორანდუმის თანახმად, მოქალაქეები, რომლებიც მერიის მედიკამენტებით დახმარების პროგრამით სარგებლობენ, დამატებით ფასდაკლებას მიიღებენ აფთიაქში და 200 ლარად უფრო მეტი პრეპარატის შეძენას შეძლებენ“, – განაცხადა რუსთავის მერმა. რუსთავის მუნიციპალიტეტმა 2022 წლიდან მედიკამენტებით დახმარების პროგრამის დაფინანსება გააორმაგა. მიმდინარე წლიდან, პროგრამის ბენეფიციარები 100 ლარის ნაცვლად, 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ მედიკამენტების შესაძენად.

რუსთავის მერის ახალ ინიციატივას, ამ ეტაპზე, „ფარმაცევტული სახლი+“, „პსპ ფარმა“, სს „გეფა“ (ფარმა დეპო, ჯი-პი -სი), „იმპექსფარმი“, „ავერსი – ფარმა“ და კპს „კალანდაძე“ შემოუერთდა. ფასდაკლებით მედიკამენტების შეძენას მედიკამენტებით დახმარების პროგრამის ბენეფიციარები სწორედ ამ სააფთიაქო ქსელებში შეძლებენ.

პრემიერს კორონავირუსი დაუდასტურდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კორონავირუსის „ომიკრონი“ შტამი დაუდასტურდა. მთავრობის მეთაური თავს კარგად გრძნობს და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს, – ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

პრემიერ-მინისტრი სრულად ვაქცინირებულია. მას კოვიდ-19 გეგმური ტესტირების ფარგლებში დაუდასტურდა. პრემიერი კორონავირუსით პირველად 2021 წლის აპრილში დაინფიცირდა. გამოჯანმრთელების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი „ფაიზერის“ ვაქცინის ორი დოზით არის აცრილი.

ყოველდღიური კოვიდინფიცირების რეალური მაჩვენებელი 60-70 ათასის ფარგლებშია

ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ყოველდღიურად, მოცირკულირე შემთხვევები 60-70 ათასზეც შეიძლებოდა ასულიყო. ალბათ, ახლა ამ მასშტაბთან გვაქვს საქმე. ეს ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, ჩვენ უკვე პიკურ სიტუაციაში ვართ, – განაცხადა ალერგოლოგ-იმუნოლოგმა **ბიძინა კულუმბეგოვმა** „ქრონიკის“ პირდაპირ ეთერში საუბრისას.

„პანიკურ სიტუაციაში არ უნდა ჩავცვივდეთ. ჩვენთვის მთავარი კრიტერიუმია რამდენია მძიმე პაციენტი და რამდენი საწოლი გვაქვს დარჩენილი კლინიკაში. მოსახლეობას უნდა ვუთხრათ, რომ საწოლფონდის თითქმის 40% თავისუფალია და ქვეყანას ამ პაციენტების მართვა შეუძლია. სხვა ქვეყნების მაგალითზე ვნახეთ, რომ მართვის მეტი მოდელი არ არსებობს. მოსახლეობას კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ, რომ პირველადი ჯანდაცვის რგოლზე რისკები გაზრდილია. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ, ალბათ, ახლა მთავარი პრიორიტეტიზაციაა, რადგან პაციენტს ძირითადი კონტაქტი ექიმთან სჭირდება, თუ მას რისკის დაავადება აქვს, აქვს ასაკი და თუ აუცრელია“, – განაცხადა ბიძინა კულუმბეგოვმა.

„მწვანე პასპორტის“ მოთხოვნის ვალდებულება უქმდება

„ომიკრონის“ გავრცელების სწრაფი ტემპისა და ვირუსის სუსტი მიმდინარეობის, ასევე მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნის ვალდებულება უქმდება, – აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ აღრიცხვიანობის ყველა სისტემა კვლავ მოქმედი რჩება და ის პირები, რომლებსაც „მწვანე პასპორტი“ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ესაჭიროებათ, კვლავინდებურად შეძლებენ ამ მექანიზმით სარგებლობას. ამასთან, ინფიცირების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, ვითარება სრულად მართვადია, ჰოსპიტალურ სექტორზე ზეწოლა მნიშვნელოვნად არ იზრდება, პაციენტების დიდი უმრავლესობა მკურნალობს ბინაზე და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებენ ოჯახის ექიმები, რომელთა რაოდენობა ბოლო დღეებში კიდევ უფრო გაიზარდა.

„სულაქერი“ და „გლიპერა“

კოვიდპანდემიიდან ორი წლისთავზე, ორი ქართველი ექიმისა და მეცნიერის მტკიცებით, მათ შექმნეს სამკურნალო და ანტისეპტიკური საშუალებები, რომლებიც ერთი მხრივ, ამცირებს კოვიდ-19-ით ინფიცირების რისკს, მეორე მხრივ კი კოვიდით ინფიცირების შემთხვევაში, პაციენტებს სწრაფ გამოჯანმრთელებაში ეხმარება.

მაქს პლანკის (გერმანია) მოლეკულური უჯრედის ბიოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე თეიმურაზ კურცხალია „რადიო თავისუფლებას“ ეუბნება, რომ მისი ავტორობით შექმნილი პირის ღრუს სავლები ანტიმიკრობული ხსნარი „გლიპერა“, ანადგურებს სხვადასხვა სახის მიკრობს, მათ შორის კოვიდ-19-ის გამომწვევ SARS-CoV-2 ვირუსს და ასე აჩერებს ინფიცირებას. ანტისეპტიკური ხსნარი უკვე რამდენიმე თვეა, ერთ-ერთ საფთიაქო ქსელში იყიდება.

ალექსანდრე თამართქილაძის, ონკოლოგისა და გენეტიკოსის მიერ შექმნილი ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, „სულაქერის“ კაფსულები კი კლინიცისტ ექიმთა ნაწილის თქმით, კოვიდით ინფიცირებული საშუალო სიმძიმის პაციენტების დროულ გამოჯანმრთელებას უწყობს ხელს. „სულაქერი“ ჯერ არ იყიდება, თუმცა, რამდენიმე კლინიკა, მათ შორის, რესპუბლიკური საავადმყოფო და წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავამდყოფო, უკვე ერთი თვეა, რაც ბიოლოგიურად აქტიურ დანამატს კოვიდ-პაციენტთა მკურნალობის პროცესში იყენებს.

რა არის „სულაქერი“?

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ „სულაჟერს“ ბიოლოგიურად აქტიური დანამატის კლასიფიკაცია მისცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი წამლის სააგენტოში რეგისტრაცია სავალდებულო არაა. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის რეგისტრაცია ნებაყოფლობითია.

„სულაჟერის“ კაფსულებზე მუშაობა ალექსანდრე თავართქილაძემ 2018 წელს დაიწყო. სანამ კაფსულები კოვიდ-პაციენტთა მკურნალობის პროცესში ჩაერთვებოდა, რეკომენდებული იყო, რომ ეს პრეპარატი გამოეყენებინათ ქიმიოთერაპიული მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შესამცირებლად; ინფექციური დაავადებების დროს სტანდარტული თერაპიის პარალელურად; სისხლის არტერიული წნევის რეგულაციისთვის; იმუნორეზისტენტობის ასამაღლებლად ფილტვების ქრონიკულად მიმდინარე სპეციფიკური ინფექციების დროს.

გასული წლის დეკემბრიდან კი „სულაჟერი“, როგორც ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, კოვიდ-პაციენტების მკურნალობის პროცესში, როგორც საკვლევი საშუალება, ასე ჩართო ყიფშიძის სახელობის ცენტრალურმა საუნივერსიტეტო კლინიკამ და წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფომ.

„რადიო თავისუფლებას“ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო განუმარტავს, რომ კოვიდ-19-ის კლინიკური მართვის პროტოკოლის თანახმად, ექიმს შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილებითა და პაციენტთან შეთანხმებით, მკურნალობისას ნებისმიერი ბიოლოგიურად აქტიური დანამატი გამოიყენოს. მათ შორის, „სულაჟერიც“.

ზაზა ლურსმანაშვილი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი, „რადიო თავისუფლებას“ ეუბნება, რომ „სულაჟერის“ გარკვეული რაოდენობა ალექსანდრე თავართქილაძემ საკუთარი ინიციატივით კლინიკას უსასყიდლოდ გადასცა. კაფსულებით მკურნალობის პროცესში თავდაპირველად კლინიკაში მყოფი 19 პაციენტი ჩაერთო. თუმცა, „სულაჟერის“ მიღება, გარდა ჰოსპიტალიზირებული პაციენტებისა, სახლში დარჩენილმა 20-ზე მეტმა კოვიდინფიცირებულმაც დაიწყო.

„სულაჟერით“ მკურნალობა მხოლოდ პაციენტის თანხმობის შემდეგ იწყება. ბიოლოგიურად აქტიური დანამატის მისაღებად პაციენტი უნდა იყოს სრულწლოვანი, მისი სატურაცია ატმოსფერულ ჰაერზე არ უნდა იყოს 90%-ზე ნაკლები და კოვიდის სიმპტომების დაწყებიდან შვიდ დღეზე მეტი არ უნდა იყოს გასული.

ზაზა ლურსმანაშვილი ამბობს, რომ პაციენტები, რომლებიც „სულაჟერით“ მკურნალობას დათანხმდნენ, მალევე გამოჯანმრთელდნენ:

„ამ პაციენტების მდგომარეობა იყო საშუალო სიმძიმის. ყველა შემთხვევაში გვქონდა ძალიან კარგი შედეგი. არც ერთი მათგანი არ დამძიმებულა. სიმპტომების გაუარესება არ ყოფილა. ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილებაში არც ერთი მათგანი არ გადასულა. პირადად ჩემი მოსაზრება და იმ ექიმების მოსაზრებაც, რომლებიც აკვირდებიან „სულაჟერით“ მკურნალობის პროგრამაში ჩართულ პაციენტებს, არის ის, რომ პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზი სწორედ „სულაჟერია“.

უკვე ერთ თვეზე მეტია „სულაჟერი“, როგორც დამხმარე თერაპიის ნაწილი, კოვიდპაციენტთა გარკვეული ნაწილის მკურნალობის პროცესში ჩართო რესპუბლიკურმა საავადმყოფომაც. კლინიკური დირექტორი, ნოდარ ჩიმაკაძე „რადიო თავისუფლებას“ ეუბნება, რომ მათი დაკვირვებით, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის გამოყენებამ გაამართლა, „კარგად იმუშავა და არ მოხდა პაციენტების დამძიმება“: „სტატისტიკა და ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, უკვე რამდენმა პაციენტმა მიიღო ეს საშუალება. პროცესი ახლაც გრძელდება, ექიმები „სულაჟერს“ პაციენტებთან შეთანხმებით ახლაც გამოიყენებენ“.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ რადიო თავისუფლების ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცა:

„სააგენტომ „სულაჟერს“ მიანიჭა ბიოლოგიურად აქტიური საკვების დანამატის სტატუსი. ცხადია, სააგენტომ იცის კაფსულის შემადგენლობა. რაც შეეხება რესვერატოლს, ის წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიურ დანამატს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში ცირკულირებს, როგორც საკვები დანამატი, რომელსაც გააჩნია ანტიოქსიდანტური მოქმედება. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა დაავადების კომპლექსურ თერაპიაში“.

რა არის „გლიპერა“?

ანტისეპტიკური ხსნარი „გლიპერა“ უკვე რამდენიმე თვეა ერთ-ერთ საფთიაქო ქსელში იყიდება. მას თბილისში, ბაქტერიოფაგის კამპუსში აწარმოებენ. მინიჭებული აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა ნომრით 01/13421. ანტიმიკრობული ხსნარი „გლიპერა“ (GlyperATM) შექმნილია მაქს პლანკის საზოგადოების (გერმანია) და კომპანია „ძალას“ (საქართველო) მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

როგორც „გლიპერას“ შემქმნელი თეიმურაზ კურცხალია უხსნის „რადიო თავისუფლებას“, ხსნარი კოვიდ-19-ისგან ინფიცირების პრევენციული საშუალებაა. მისი ფორმულა კი წყალბადის ზეჟანგსა და გლიცინს ემყარება:

„წყალბადის ზეჟანგი არის ძალიან ცნობილი ანტისეპტიკი. მაგრამ მისი გამოყენება დიდი რაოდენობით და დიდი კონცენტრაციით, არ არის კარგი, ვინაიდან ის აზიანებს უჯრედს. ჩვენი ფორმულაცია სწორედ ამაზეა დამყარებული, რომ ერთი მხრივ, გვაქვს წყალბადის ზეჟანგი, რომელიც უჯრედის გარეშე კლავს ყველა ბაქტერიას, ვირუსს და სოკოს, ხოლო როდესაც წყალბადის ზეჟანგის ნაწილი შედის უჯრედში, მას იქ ანეიტრალებს გლიცინი“.

თეიმურაც კურცხალიას თქმით, მაქს პლანკის მოლეკულური უჯრედის ბიოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის განყოფილების ფორმულის კვლევებმა, რომელიც ინდოეთსა და პრაღაში ჩატარდა, აჩვენა, რომ ხსნარი ეფექტურად ანეიტრალებს კოვიდ-19-ის გამომწვევ SARS-CoV2-ვირუსს.

„გლიპერას“ გამოყენების წესს თეიმურაზ კურცხალია ასე ხსნის:

„სავლებს მაშინ ვიყენებ, როდესაც ვსვდები ხალხმრავალ საზოგადოებაში და მაქვს ეჭვი, რომ შესაძლებელია იყოს ინფექცია. ამ ურთიერთობიდან ერთი საათის განმავლობაში ხსნარს ვივლებ ყელში. დღეში სამჯერ, ოთხჯერ შეიძლება. მაგრამ თუ არ გაქვთ კონტაქტი უცხო პირებთან და სახლში ხართ, ამ ხსნარის გამოვლების აუცილებლობა არ არსებობს. გამოვლების შემდეგ, 10-15 წუთი სხვა საკვები ან სასმელი არ უნდა მივიღოთ“.

იხ. 9 გვ.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, რუსეთს არ აქვს იმის საშუალება, სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყოს უკრაინის წინააღმდეგ, მით უმეტეს იმ სამხედრო დახმარების ფონზე, რაც დასავლეთმა გაუწია უკრაინას. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, ერთ-ერთი ვერსიით, რუსეთის მიზანია მინსკის ხელშეკრულების ამუშავება, რადგან მინსკის ხელშეკრულებაში ნავარაუდევია, რომ დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებს ექნებათ ვეტოს დადების უფლება და უკრაინის მართვაში ექნებათ გადამწყვეტი გადაწყვეტილების შეტანის საშუალება.

ცბიერი პუტინის გეგმები დღემდე ბუნდოვანია!

— წინასწარ რთულია იმის თქმა, ვიხილავთ თუ არა რუსეთ-უკრაინის ომს. აშშ და დასავლეთი ღიად გმობენ რუსეთის აგრესიას, მაგრამ საქართველოში პოზიცია და ოპოზიცია ვერ შეთანხმდა, როგორი უნდა იყოს უკრაინის მხარდასაჭერი რეზოლუციის პროექტი. ოპოზიცია აპროტესტებს იმას, რომ პროექტში ნახსენები არ არის რუსეთი. ამ ვითარებაში, როდესაც უკრაინა ომის ზღვარზეა, როგორი უნდა იყოს რეზოლუციის პროექტი, ნეიტრალური, თუ პირიქით მკაცრი და ხაზგასმა იმისა, რომ რუსეთი არის ოკუპანტი? რუსეთი, რომ ოკუპანტია, ეს ცივილიზებულმა მსოფლიომ იცის...

— მეჩვენება, რომ ნაციონალები დაინტერესებული არიან, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობაში მოხდეს რადიკალიზაცია. ერთი მხრივ, ეს მათთვის იქნება მისაღები სტილი. გავიხსენოთ, 2008 წელს ომი დაიწყეს. მეორე მხრივ, თუკი ამ რადიკალიზაციის სტილს არ აყვა ვინმე, მათ აქვთ იმის საშუალება იძახონ — მოღალატეაო და ა.შ. ჩვენ ვნახეთ დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც საერთოდ თვლიან, რომ ეს კონფლიქტი მათთვის მიუღებელია.

ხორვატია, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნაა, ამბობს, რომ საკუთარ ჯარებს გამოიყვანს ნატოდან იმდენად მიუღებელია მისთვის კონფლიქტში ჩართვა. მთელი დასავლეთი რუსეთთან კონფლიქტში ჩართვის შიშით მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში ამ მოტივით ცდილობს შეარბილოს პოზიცია და ამტკიცებს, რომ საჭიროა გაზი, რომ სანქციებს მოჰყვება ფასების ამოძრავება და ა.შ. რეალურად, ომის შემთხვევაში დასავლეთი ეკონომიკური სანქციებით აპირებს გაუსწორდეს რუსეთს. დღეს ამ სანქციებზეც მიდის სხვადასხვა შეფასება დასავლეთის მიერ.

— აშკარაა, რომ დასავლეთში არ არის ერთიანი აზრი სანქციების ნაწილში, რატომაც უკრაინის პრეზიდენტი ღიად დაუპირისპირდა დასავლეთს...

— ეს ბუნებრივი პროცესია. ერთია, რომ უკრაინა როგორც მოქმედებს, სწორია, მაგრამ მეორეა, უკრაინის გვერდით დადგომა იმ მხრივ, რომ დაუპირისპირდე რუსეთს, ყველა იმ ქვეყნისგან, რომლებიც ასე ფრთხილად არიან და არც არიან კონფლიქტში რუსეთთან. ჩვენ კი ის განგვასხვავებს, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიის 20% აქვს მიტაცებული და მაქსიმუმ, ერთი საათი უნდა მის სამხედრო დანაყოფებს, რომ მთლიანად გადაკეტონ საქართველო.

— რაც ძალიან რეალურია ვითარების დაძაბვის შემთხვევაში...

— ყოველ შემთხვევაში პუტინის რუსეთისგან გამორიცხული არ არის. შეიძლება აწყობს კიდეც, რადგან ასეთი მოვლენა გაფანტავს დასავლეთის კონცენტრაციას უკრაინაზე. პუტინის გეგმები ბუნდოვანია. ბევრი ექსპერტი, ვინც კარგად ერკვევა რუსეთის საკითხებში, ამბობს, რომ რუსეთს არ აქვს იმის საშუალება, სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყოს უკრაინის წინააღმდეგ. დღეს რუსეთი ვერ მოერევა უკრაინას, მით უმეტეს იმ სამხედრო დახმარების ფონზე, რაც დასავლეთმა გაუწია უზარმაზარი მოცულობის შეიარაღება გადასცა.

— იმ ფონზე, როდესაც ვხედავთ, რომ რადიკალიზმი მძლავრობს, ნატოს გენერალური მდივანი ამბობს, რომ რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, ნატო უკრაინაში ჯარების შეყვანას არ გეგმავს, ამავე დროს თეთრი სახლის ლიდერი აფრთხილებს უკრაინას, რომ რუსეთი თებერვალში გეგმავს უკრაინაში შეჭრას. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები რუსეთ-უკრაინას შორის და რეალურად, ჩვენ ვაკვირდებით რუსეთ-ამერიკას შორის დაპირისპირებას, რომელშიც თავისი როლი აქვს თურქეთს, ირანს, ჩინეთს?

— ყველას თავისი როლი და ინტერესი ექნება, ოღონდ ეს ინტერესებიც თავისებურად ლაგდება. მაგალითად, ისევ და ისევ ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დღეს ჩინეთს საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს. თითქოს მისი აღმასვლის პერიოდი დამთავრდა, ან დროებით შეწყდა. მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკური სირთულეები აქვს. ამ ფონზე ჩინეთს არ აწყობს რუსეთის მიერ ომის დაწყება, იმიტომ რომ ეკონომიკის მოვლის ერთ-ერთი გზა არის დასავლეთი — ევროპა. ამ დროს რუსეთი ჩინეთისთვის პარტნიორია.

თუ პარტნიორმა ომი დაიწყო, შენც დაპირისპირებაში უნდა შეხვიდე. ამიტომ სავარაუდოა, რომ ჩინეთი სერიოზული მასშტაბების მქონე დაპირისპირების წინააღმდეგი იქნება. ბევრი მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ დასავლეთია დაინტერესებული და დასავლეთს უნდა კონფლიქტი, რომ მერე ამით რუსეთთან ანგარიში გაასწოროს. მეეჭვება, რომ ასეთი პირდაპირი კავშირი იყოს, იმიტომ რომ, თუ დასავლეთს უნდა რაიმე საინქციების დაწესება და ასე უნდა ანგარიშსწორება, ამის საფუძველი უკვე აქვს. რუსეთს უკრაინის რეგიონები დაპყრობილი აქვს, საქართველოში 20% აქვს ოკუპირებული.

— თუ სამხედრო და განსაკუთრებით ეკონომიკური პოტენციალი დიდი და გრძელვადიანი ომის დაწყების საშუალებას არ მისცემს რუსეთს, მაშინ რას ეძებს?

— ერთ-ერთი ვერსიით რუსეთის მიზანია მინსკის ხელშეკრულების ამუშავება. ამიტომაც ყველა ეტაპზე გაიძახის, რომ დავჯდეთ მოლაპარაკების მაგიდასთანო! ცხადია, რომ ცდილობს, პროცესი დააბრუნოს მინსკის ხელშეკრულებასთან. მინსკის ხელშეკრულებაში ნავარაუდევია, რომ დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებს ექნებათ ვეტოს დადების უფლება და უკრაინის მართვაში გადამწყვეტი გადაწყვეტილების შეტანის საშუალება. შეიძლება ამისკენ ისწრაფვის რუსეთი, რომ კონფლიქტი მოათავოს ისე, რომ უკრაინას დაუტოვოს ნაღმი, ფედერალური მოწყობის თვალსაზრისით საიმისოდ, რომ მომავალში უკრაინამ ნატოსკენ გახედვა ვერ მოახერხოს, რახან ვეტოს დამდები ეყოლება სტრუქტურაში. ასე რომ, ვარიანტები ბევრია, თან, ამავე დროს, გაუგებარია, რატომ დაიწყო რუსეთმა ეს გამწვავება.

— არის ასეთი ვერსიაც, რომ რუსეთის მიზანია სახელწიფო გადატრიალება და მისთვის მართული კანდიდატურის მოყვანა. არის ამაში ლოგიკა? პრინციპში, რუსეთი თამაშობს, მაშინ, როდესაც დასავლეთი და აშშ ომის მოლოდინშია, ამავე დროს ლავროვი ამბობს, რომ დაიწყება თუ არა ომი, ეს დამოკიდებულია უკრაინის ლიდერზე და შესთავაზა მოლაპარაკებისთვის ეწვიოს რუსეთის ხელისუფლებას მოსკოვში, პეტერბურგში ან სოჭში...

— მოლაპარაკებებში ბეჯითად მიიწვევენ იქითკენ, რომ დაიწყოს მინსკის ხელშეკრულების შესრულება. მინსკის ხელშეკრულების ამუშავება იგივეა, რაც ხელისუფლებაში რუსეთის მომხრეების მოყვანა. თუკი შემუშავდება ისეთი კონსტიტუციური მოწყობა, სადაც გადამწყვეტი ხმა ექნებათ პრორუსულ რეგიონებს, მაშინ რა განსხვავებაა, იგივე შედეგია. ასე რომ, მარტივად შეიძლება რუსული პოლიტიკა პირველ პირზე არ იყოს აგებული და პირიქით, აგებული იყოს ისეთ კონსტიტუციურ მოწყობაზე, რომელშიც რუსეთის მომხრე ორი რეგიონი იქნება გადამწყვეტი.

— შესაძლებელია, უკრაინის შემთხვევაში დაუშვას გამონაკლისი ნატომ და რუსეთიდან მომდინარე საფრთხის საპასუხოდ, მოხდეს უკრაინის დაჩქარებული გაწევრიანება, რასაც პრინციპში ითხოვს ზელენსკი?

— როგორც უკრაინელებთან, ისე ქართველებთან არ მინახავს სერიოზული მსჯელობა იმაზე, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, როდესაც არის კონფლიქტური რეგიონები. გვინახავს ასეთი პასაჟი, რომ იქნებ, ეს ორი ქვეყანა გაწევრდეს ისე, რომ არ ამოქმედდეს და დროებით შეჩერდეს მე-5 პუნქტი. ეს ნიშნავს, რომ ნატოში კი გაწევრდებიან უკრაინა და საქართველო, მაგრამ ნატოს მხრიდან დახმარების საკითხს არ ექნება იმპერატიული ხასიათი. მაშინ გამოდის, რომ საქართველოს და უკრაინას ნატოში შესვლა მხოლოდ იმისთვის გამოადგება, რომ დარჩენილი ტერიტორიები არ გახდეს აგრესიის მსხვერპლი. არსებული ტერიტორიული პრობლემები ამ ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ ნატოს მე-5 პუნქტის გამოყენების გარეშე...

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

სანქციების მომხრეთა რიცხვს ბრიტანეთიც უერთდება

უკრაინის წინააღმდეგ „შემდგომი ქმედებების“ განხორციელების შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებს გააძლიერებს, რომელიც გავლენას მოახდენს იმ ბიზნესებსა და კერძო პირებზე, რომელთაც კრემლთან მჭიდრო კავშირები აქვთ.

კლარკის თქმით, გაერთიანებული სამეფო სანქციების გამოყენების კუთხით უფრო მეტად გადამწყვეტად მოქმედებს, ვიდრე ევროკავშირის ბევრი სახელმწიფო.

„ბრექსიტის შემდეგ დიდი ბრიტანეთი პუტინის რეჟიმის ქმედებების ერთ-ერთი წამყვანი მოწინააღმდეგეა. თქვენ თუ ევროკავშირს გადახედავთ, გერმანიის მსგავსი ქვეყნები ამ კრიზისის პასუხს აჭიანურებენ“, — განაცხადა კლარკმა.

საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარი

უკრაინის გარშემო არსებული კრიზისის ფონზე საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ბოლო ოთხი დღის განმავლობაში მეორე სატელეფონო საუბარი გამართეს.

„გაგრძელდა აზრთა გაცვლა უკრაინის ირგვლივ არსებულ ვითარებასა და რუსეთის უსაფრთხოების სფეროში გრძელვადიანი და იურიდიულად დადგენილი გარანტიებით უზრუნველყოფაზე“, — ნათქვამია კრემლის განცხადებაში.

თავის მხრივ, საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღნიშნეს, რომ ლიდერები მიესალმებიან ნორმანდიის ფორმატში დადებით პროგრესს.

უკრაინაში და მის გარშემო რუსეთის სამხედრო აქტიურობის ფონზე, ნატო აღმოსავლეთ ევროპაში დამატებით ძალებს აგზავნის.

ბრიტანეთის, პოლონეთისა და უკრაინის კავშირი

დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და უკრაინა აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნის თაობაზე განცხადების გაკეთებას გეგმავენ. მედიის ცნობით, აღნიშნული ფორმატის შექმნის თაობაზე დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრები კიევში ვიზიტისას განაცხადებენ.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე დაადასტურა, რომ ბორის ჯონსონი და მატეუშ მორავიეცკი კიევს მიმდინარე კვირაში ეწვევიან.

რეგიონს ორი არჩევანი აქვს - მშვიდობა ან ირანის ტერორი

ისრაელის პრეზიდენტმა იცხაკ ჰერცოგმა, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ისტორიული ვიზიტით იმყოფება, ირანი რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციასა და მარიონეტების ტერორისტული მიზნებისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა.

„ამ რეგიონისთვის მხოლოდ ორი ალტერნატივა არსებობს. ერთი არის მშვიდობა, კეთილდღეობა, თანამშრომლობა, ერთობლივი ინვესტიციები და მშვენიერი ჰორიზონტი ხალხისთვის, ან ალტერნატივის სახით, ის, რასაც ირანი აკეთებს, რომელიც რეგიონში დესტაბილიზაციას ახდენს და თავის მარიონეტებს ტერორისტული მიზნებისათვის იყენებს. ეს ორი ალტერნატივაა და ეს ვიზიტი ჩვენი ერებისთვის, რეგიონისა და ზოგადად მსოფლიოსთვის იმედის, მშვიდობისა და დიდი მომავლის სიმბოლოა“, — აღნიშნა ისრაელის პრეზიდენტმა.

რით ვიკვებებით, ხალხნო!

ანუ ნამცხვარი, რომელიც არ ძველდება!

ოცდამეერთე საუკუნეში კვების პროდუქტების წარმოებაში საკვებდანამატების გამოყენების ბუმია. ეს პროცესი კი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და პროფესიონალების მიერ ტრადიციულ მეთოდებზე არატრადიციული ტექნოლოგიების გამარჯვებად, დასავლური პრაქტიციზმისა და რაციონალიზმის აღმოსავლურ სიბრძნეზე და რაც ყველაზე მთავარია, ნატურალურ პროდუქტზე საკვებდანამატებით გაჯერებული კვების პროდუქტების გამარჯვებად მოინათლა. დაინგრა ტრადიციული მეთოდებით საკვები პროდუქტების მიღების ტენდენცია და პრიორიტეტული გახდა წარმოებაში ათასგვარი ქიმიური დანამატებით გაჯერებული პროდუქტების წარმოება, რომელიც არავითარ კონტროლს არაა დაქვემდებარებული და ხშირად მომწამვლელიცაა ორგანიზმისთვის. გახშირდა საკვებით გამოწვეული დაავადებები, ამიტომაც შემთხვევითი არ გახლავთ გამოთქმა — ყველა დაავადება საკვებით არის გამოწვეული.

საკვები პროდუქტების წარმოება უნდა ეფუძნებოდეს ამა თუ იმ რეგიონის ტრადიციულ მეთოდებს და პროცესის ტექნოლოგიურ სრულყოფასა და დაცვას. ენერგომატარებლებზე ფასების მარკეტინგულმა მოთხოვნებმა, ზრდამ, პროდუქტის ტრანსპორტირებამ ყოველივე ტრადიციული წესით წარმოებულ საკვებ-პროდუქტებზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია და შეიქმნა ჯერ ფალსიფიცირებული, ხოლო შემდგომ საკვებდანამატებად გასაღებული ქიმიური პროდუქტები. ამის დასამტკიცებლად სულ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც საქმეში ჩაუხედავმა ადამიანებმაც კარგად უწყიან. მაგალითად, პურის დამზადებას, ანუ ფქვილიდან პურად ქცევას წესით 6-7 საათი ესაჭიროება, დღეს კი ეს პროცესი 1 საათში სრულდება, რადგან არ გვეგულება პურის საცხობი, თონე და ქარხანა, სადაც ე.წ. ხაში და პურის ორტაქტიანი მეთოდით ცხობა გამოიყენება. ამის გამოა, რომ პურმა დაკარგა არა მარტო გემო და საკვები თვისება, არამედ ტრადიციული სურნელიც. თუ ცომმა ტრადიციული, ანუ სათანადო ფერმენტაცია არ გაიარა, ქიმიურ საფუარებზე დამზადებული პროდუქცია გაციების შემდეგ ყოველგვარ თვისებას კარგავს. ასევე შეიძლება ითქვას შამპანურ ღვინოებზე, კონიაკებზე, რომლებიც უძველესი დროიდან დაძველების მეთოდით მზადდებოდა, რასაც რამდენიმე წელი სჭირდებოდა. დღეს ეს პროცესი რამდენიმე საათს მოითვლის.

თანამედროვე წარმოებაში გავრცელებულია კონსერვაციისა და დახლზე პროდუქციის დაძველების (გაფუჭების) საწინააღმდეგო ღონისძიებები, ტრანსპორტირების დროს პროდუქციის გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით კონსერვანტებისა და საკვებდანამატების გამოყენებასთან ერთად, სწრაფად ვითარდება გენური ინჟინერიაც. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ამერიკაში მოუსავლიანობის გამო შიმშილმა დაისადგურა და უამრავი ადამიანი დაიღუპა. გენური ინჟინერიის წყალობით ამერიკელმა მეცნიერმა ნორმან ბერლოუგმა გენური ინჟინერიის წყალობით მარცვლეულის მოსავლიანობა გაასამმაგა (რისთვისაც მას ნობელის პრემიაც მიენიჭა), თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ ასეთი პროდუქცია ჯანმრთელობისთვის მავნებელი იყო. მოგვიანებით დაიწყეს ფქვილის ხელოვნური გათეთრება დამჟანგველი მოქმედების აიროვანი შენაერთებით (აზოტის ჟანგი, ქლორის დიოქსიდი და სხვა), იყენებდნენ კალიბრომატს, რომელიც იწვევდა არა მარტო ფქვილის გათეთრების, არამედ ფქვილში ცილოვანი კომპლექსის ცვლილებასაც (ფქვილი ხდებოდა უფრო ძლიერი). დღეს კი მრავალ ქვეყანაში კალიბრომატის გამოყენება კანონმდებლობითაა აკრძალული.

ერთ საინტერესო ფაქტსაც გავიხსენებთ: 90-იან წლებში თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ ფირმა „ფათოღლის“ ფქვილი. იმ დროს საწყობებში ქართული წარმოების ფქვილიც გვქონდა, რომელსაც თაგვი ეტანებოდა, თურქულს კი არა. აღმოჩნდა, რომ თურქული ფქვილი აზოტის ჟანგით იყო ქიმიურად დამუშავებული, ე.ი. ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით გაჯერებული, რომელსაც „ჭკვიანი მღრნელი“ არ მიირთმევდა.

მეცნიერები ახლაც მსჯელობენ და კამათობენ იმაზე, თუ რამდენად ღირს ამგვარი დანამატებით გაჯერებული პროდუქციის წარმოება. როდესაც უძველესი დროიდან გაგვაჩნდა ისეთი მცენარეები, რომელსაც ადამიანები იყენებდნენ სხვადასხვა დანამატებად, საჭირო არ უნდა ყოფილიყო ქიმიური დანამატების წარმოება, მაგრამ ეს მარკეტინგულმა და ტრანსპორტირების პრობლემებმა მოიტანა.

იხ. 11 გვ.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: ვალერიანი გიბიშვილის (პ/ნ 12001099377), ნინა გიბიშვილის (პ/ნ 12001076013) (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.15.692) ფართობით 3 500 კვ. მეტრის ნაწილი - 1 698 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №1-1/584 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ვალერიანი გიბიშვილის (პ/ნ 12001099377), ნინა გიბიშვილის (პ/ნ 12001076013) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.15.692) ფართობით 3 500 კვ. მეტრის ნაწილზე - 1 698 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების: ვალერიანი გიბიშვილის (პ/ნ 12001099377), ნინა გიბიშვილის (პ/ნ 12001076013) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე დარიკო მერაბოვის (პ/ნ 12001049198) (შემდგომში - მესაკუთრე) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.797) მთლიანი ფართობის - 9 069 კვ.მ-ის ნაწილი - 4 879 კვ. მეტრი, მასზე არსებული მცირე ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №1-1/584 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, მოქალაქე დარიკო მერაბოვის (პ/ნ 12001049198) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.797) მთლიანი ფართობის - 9 069 კვ.მ-ის ნაწილზე - 4 879 კვ. მეტრზე, მასზე არსებულ მცირე ნაგებობასა (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების: დარიკო მერაბოვის (პ/ნ 12001049198) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

„სულაქერი“ და „გლიპერა“

(მეექვსე გვერდიდან)

„პირველ რიგში, ვაქცინაცია, შემდეგ პირბადე და ამის შემდეგ, როგორც დამხმარე საშუალება, შეიძლება ამ ხსნარის გამოყენებაც“, — ასე გამოეხმაურა „გლიპერას“ ბაზარზე გამოჩენას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე.

თეიმურაზ კურცხალია

კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატები საერთაშორისო ბაზარზე

რაც შეეხება კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატს, რომელსაც მსოფლიო ელოდება, 22 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) „პაქსლოვიდს“ გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია მიანიჭა.

„ფაიზერის“ აბები, ინფიცირების შემდეგ, სიმპტომების გამოვლენიდან მალევე, ხუთი დღის განმავლობაში, დღეში ორჯერ მიიღება.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ალბერტ ბურლა აცხადებს, რომ „ფაიზერი“ უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს 90 ქვეყანასთან მედიკამენტის მიწოდებასთან დაკავშირებით: **„ჩვენი მიზანია, რომ მედიკამენტი რაც შეიძლება სწრაფად მივაწოდოთ ყველას“.**

ბურლას თქმითვე, მაღალი შემოსავლის ქვეყნები მედიკამენტის ერთ კურსს 700 დოლარად შეიძენენ. დაბალი შემოსავლის ქვეყნებისთვის კი კომპანია რამდენიმე სხვა შესაძლებლობას განიხილავს - „მათთვის არ იქნება ბარიერი, რომ ჰქონდეთ წვდომა მედიკამენტზე“.

„ფაიზერი“ აცხადებს, რომ 2021 წლის ბოლოსთვის, კომპანია გამოუშვებს „პაქსლოვიდის“ 180 000 სამკურნალო კურსს. 2022 წლის ბოლოს კი მინიმუმ 50 მილიონს. მათ შორის, 21 მილიონს წლის პირველ ნახევარში.

ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) 23 დეკემბერს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია მიანიჭა კიდევ ერთ კოვიდსაწინააღმდეგო პრეპარატს, „მოლნუპირავირს“. ის ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „მერკ, შარფ და დოჰმეს“ (MSD) მიერ წარმოებული ანტივირუსული მედიკამენტია, რომელიც კორონავირუსის სიმპტომური მიმდინარეობის დროს მიიღება.

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის მდივნის საჯარო ჯავიდის განცხადებით, „მოლნუპირავირი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საშუალებაა სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანებისთვის. წამლის დამტკიცებას მან „ისტორიული დღე“ უწოდა, თავად მედიკამენტს კი „თამაშის წესების შემცვლელი“.

გასული წლის ნოემბერში, სანამ კოვიდსაწინააღმდეგო მედიკამენტებს FDA ავტორიზაციას მიანიჭებდა, თბილისის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი და პანდემიის კლინიკური მართვის გუნდის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე, „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას აცხადებდა, რომ საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც „მოლნუპირავირსა“ და „პაქსლოვიდს“ მიიღებდა:

ალექსანდრე თავართქილაძე

„საქართველომ წინმსწრებად გაატარა ყველა ღონისძიება. სამინისტრო მუდმივ კონტაქტშია ამ ორ კომპანიასთან და არის მყარი შეპირება, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი მიიღებს ამ მედიკამენტებს“.

ჯერჯერობით ეს მედიკამენტები არ ჩანს.

დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველო კორონაპანდემიის მეექვსე ტალღას ებრძვის!..

ნინო თარხნიშვილი,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

საქართველოს ორმა მოქალაქემ საფრანგეთში „გვასახელა“!

საფრანგეთში საქართველოს ორი მოქალაქე დაავადა. ორივე მათგანს, როგორც ადგილობრივი მედიცინა იუწყება, ძარცვა ედება ბრალად. არსებული ინფორმაციით დაკავებულებმა ბოლო ერთ თვეში, მინიმუმ, 12 სახლი გაძარცვეს.

სამართალდამცველებმა ჩხრეკისას ამოიღეს სავარაუდოდ ნაძარცვი ნივთები, რომლებიც 8 ათასი ევროს ღირებულებისაა. საქართველოს მოქალაქეები წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან მოთავსებული. სასამართლო 11 მარტს არის ჩანიშნული.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: ავთანდილ დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050865), გიორგი დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050867), ლალი აბაშვილის (პ/ნ 12001049495) და ციალა დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050866) (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვაზიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.711) ფართობით 2 500 კვ. მეტრის, ნაწილი - 410 კვ.მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №1-1/584 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ავთანდილ დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050865), გიორგი დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050867), ლალი აბაშვილის (პ/ნ 12001049495) და ციალა დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050866) თანასაკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვაზიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.711) ფართობით 2 500 კვ. მეტრის, ნაწილზე - 410 კვ.მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების: ავთანდილ დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050865), გიორგი დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050867), ლალი აბაშვილის (პ/ნ 12001049495) და ციალა დარჩიაშვილის (პ/ნ 12001050866) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: დავით ეპიტაშვილის (პ/ნ 12002000538) და გულნაზი ჯანიაშვილის (პ/ნ 12001056108) (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.683) მთლიანი ფართობი - 3 900 კვ.მ-ის ნაწილი - 1 830 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №1-1/584 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების დავით ეპიტაშვილის (პ/ნ 12002000538) და გულნაზი ჯანიაშვილის (პ/ნ 12001056108) თანასაკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.683) მთლიანი ფართობის - 3 900 კვ.მ-ის ნაწილზე - 1 830 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების: დავით ეპიტაშვილის (პ/ნ 12002000538) და გულნაზი ჯანიაშვილის (პ/ნ 12001056108) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲓᲘᲐᲮ, ᲕᲐᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲝᲚᲓᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲓᲘ ᲛᲐᲗ

***ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ!** ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის მიმართვას კალიფორნიის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელმაც არ დააკმაყოფილა „ნეტფლიქსის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. „ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, დებიუტი მოგებულია. ზოგადად, ცხოვრებაში და ასევე სპორტში გამარჯვების მისაღწევად რამდენიმე აუცილებელი პირობა არსებობს: რწმენა, ბრძოლის წყურვილი და ჟინი, პროფესიონალიზმი და აუცილებელი კვალიფიკაცია, გულშემატკივრები და სიმართლე. მე ვიცავ ჩემს განელილ ცხოვრებას, ეროვნებას და მიღწევებს, რომლებსაც უღირსად შეეხნენ. გულშემატკივრების საოცარ მხარდაჭერას მთელი ცხოვრება ვგრძნობდი. პროფესიონალიზმი ამ შემთხვევაში აისახება ჩემი ქართველი და ამერიკელი ადვოკატების უძლიერეს გუნდში, რომლებმაც საოცარი სამუშაო გასწიეს.*

მადლობა ამერიკულ სასამართლოს, რომელმაც ძალზედ კვალიფიციურად და სამართლიანად შეაფასა არსებული მოცემულობა. გამარჯვების წყურვილი და ბრძოლის ჟინი არასოდეს გამნელებია. ახლაც ღრმად მწამს, რომ ჩემს გუნდთან და ყველა ჩემს გულშემატკივართან ერთად მივალთ საბოლოო გამარჯვებამდე, რადგანაც სიმართლე ჩვენს მხარესაა და ეს მგონი მთელი სამყაროსთვის ცხადია დღეს. დიახ, მე ვარ ნონა გაფრინდაშვილი, ვარ ქართველი. დიახ, მთელი კარიერის მანძილზე მე ვეთამაშებოდი მამაკაც მოჭადრაკეებს და ხშირად ვამარცხებდი მათ, ამიგომაც მერგო პატივი, გავმხდარიყავი პირველი ქალი დიდოსტატი მამაკაცებს შორის. ულრმეს მადლობას ვუხდი უამრავ ადამიანს საქართველოში და მთელს მსოფლიოში, ვინც მე მხარდაჭერა და თანადგომა გამომიცხადა. ბრძოლა გრძელდება საბოლოო გამარჯვებამდე. პატივისცემით, ნონა გაფრინდაშვილი“...

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ BLB - ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲐ!

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ქართველი მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის ინტერესების დამცველ იურიდიულ ფირმა BLB-ში აცხადებენ, რომ კალიფორნიის სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილება, რომელმაც არ დააკმაყოფილა „ნეტფლიქსის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ამ ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია.

> **„ვულოცავთ ქალბატონ ნონას და საქართველოს ამ გამარჯვებას. ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა ამ ეტაპზე და ნონას ბრძოლის მთავარი ეტაპი. ქალბატონი ნონა ინსპირაცია იყო მუდამ და მან კიდევ ერთი გამარჯვებული პარტია შექმნა. ეს სპეციფიკური საქმეა და სამართლებრივად განსაკუთრებული ქეისია. სამართლებრივად საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა“,** — აცხადებს კომპანიის მთავარი პარტნიორი **კახა შარაბიძე**.

ამასთან, კომპანიის პარტნიორის, **მაია მწარიაშვილის** თქმით, მოსამართლემ „ნეტფლიქსს“ უთხრა, რომ მოუწევს, თავი დაიცვას არსებითი განხილვის ფარგლებში.

> **„მეც ვულოცავ მთელ საზოგადოებას ამ დიდ გამარჯვებას. იურისტები კიდევ უფრო ხვდებიან ამ ამბავს, თუ რამდენად დიდი გამარჯვებაა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონ ნონას, რომ მისი ღირსების საქმე გვანდო ჩვენ. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება — ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ „ნეტფლიქი“ დასვა საჭადრაკო დაფასთან. ეს ნიშნავს, რომ „ნეტფლიქსს“ არ უნდოდა დავაში შესვლა და შეეძლო, აერიდებინა დავა. მოსამართლემ უთხრა, რომ უნდა დაჯდეს და ითამაშოს ეს პარტია ქალბატონ ნონასთან. მოსამართლემ უთხრა მას, რომ მოუწევს, თავი დაიცვას არსებითი განხილვის ფარგლებში.**
>
> **მთავარი რამ, რაც ქართველ საზოგადოებაშიც იყო დებატების და განხილვის თემა — მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება თუ არა დააზიანო რეალური ადამიანი? ამ გადაწყვეტილებით მოსამართლემ თქვა, რომ „ნეტფლიქსს“ არ აქვს უფლება ამ არგუმენტით დაიცვას თავი და ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. ის, რომ მხატვრულია ნაწარმოებები, არ არის დაცვა, რომ ამ ქუდით დააზიანო რეალური ადამიანის პატივი, ღირსება. ჩვენი შესაგებლის ხაზს სრულად იზიარებს სასამართლო. „ნეტფლიქსის“ პოზიცია იყო, რომ ფრაზას არ აქვს პრეტენზია სინამდვილის დადგენაზე, არგუმენტი იყო, რომ ეს არ არის დეფამაციური შინაარსით; ასევე არგუმენტი იყო, რომ ჩვენ, მოსარჩელე მხარე ვერ ვადასტურებთ ბოროტ განზრახვას ან უხეშ დაუდევრობას და ის, რომ ობიექტური მაყურებელი არ გამოიტანდა ამ აზრს ამ სიუჟეტიდან. ყველა არგუმენტი გაჭრა სასამართლომ. გადაწყვეტილებაში საინტერესო მსჯელობებია. სასამართლომ თქვა, რომ „ნეტფლიქსის“ მტკიცებულებები მის წინააღმდეგ მუშაობს. მთავარი, რაც გვინდოდა, გვეთქვა და რაც ღირებულია ჩვენთვის, მოგეხსენებათ, სარჩელის მერე ქალბატონ ნონას ამაზე არასოდეს უსაუბრია. გამოქვეყნდა მხოლოდ „ნიუიორკ ტაიმსში“ მისი ინტერვიუ. ის მოგვყვებოდა ფეხდაფეხ და იმდენად დარწმუნებულია გამარჯვებაში, არასოდეს აფორიაქებულა ამ ხნის მანძილზე. ამიტომ ჩათვალა საჭიროდ, მიმართოს საზოგადოებას, მაგრამ ამ კოვიდვითარების გამო — ამ წუთას მისი ოჯახის წევრებსაც აქვთ, წინა კვირას ძმა გარდაეცვალა და მის ოჯახს ჰქონდა გარკვეული კონტაქტები — ამიტომ მან ეს დღეს ვერ შეძლო და მის წერილობით მიმართვას ვავრცელებთ“,** — აღნიშნა მაია მწარიაშვილმა.



ᲛᲐᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: NETFLIX-Ს ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ!

ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ Netflix-ი ფაქტობრივად, დასვა საჭადრაკო დაფასთან. Netflix-ს არ უნდოდა ამ დავაში შესვლა და მოსამართლემ მას უთხრა, რომ უნდა დაჯდეს საჭადრაკო დაფასთან და ითამაშოს ეს პარტია ნონა გაფრინდაშვილთან, — ამის შესახებ მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა, მაია მწარიაშვილმა კალიფორნიის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა, რომელმაც Netflix-ის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ადვოკატის შეფასებით, კალიფორნიის სასამართლოს მოსამართლემ **ვირჯინია ფილიპსმა** პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და გაიზიარა მოსარჩელე მხარის ყველა არგუმენტაცია საქმესთან დაკავშირებით.

„თავისი არსით ეს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ გადაწყვეტილებით მოსამართლემ თქვა, რომ ასეთი პრეცედენტი არ არსებობს ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში. რადგან ნაწარმოები მხატვრულია, ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ამ მხატვრული ნაწარმოების ქუდით დააზიანო რეალური ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სასამართლო ამ გადაწყვეტილებით პასუხობს Netflix-ის ყველა ძირითად არგუმენტს და აქარწყლებს. ფაქტობრივად, მთლიანად მიჰყვება ჩვენი შესაგებლის ხაზს, სრულად იზიარებს ყველა ჩვენს არგუმენტაციას. Netflix-ის ყველა არგუმენტი სასამართლომ გააბათილა. ძალიან საინტერესო მსჯელობებია ამ გადაწყვეტილებაში და სასამართლომ დაცვის მხარის არც ერთი არგუმენტი არ გაიზიარა და თქვა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ Netflix-ის მტკიცებულებები, რომლებიც მას ჰქონდა წარმოდგენილი, პირიქით, დაცვის მხარის წინააღმდეგ მუშაობს და აჩვენებს იმას, რომ Netflix-მა განგებ აუარა გვერდი ნონა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს. სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო“, - განაცხადა მაია მწარიაშვილმა.

ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ, ᲐᲠ ᲐᲛᲘᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ „ᲜᲔᲢᲤᲚᲘᲥᲡᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გამოცემა Variety სტატიას აქვეყნებს კალიფორნიის ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც არ **დააკმაყოფილა „ნეტფლიქსის“ (Netflix) შუამდგომლობა ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის სარჩელთან დაკავშირებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ მოსამართლე ვირჯინია ფილიპსმა არ დააკმაყოფილა კინოინდუსტრიის მაგნატ Netflix-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სტატიის თანახმად, Netflix საქმის წარმოების შეწყვეტას ცდილობს და ამტკიცებს, რომ სერიალი მხატვრული ნამუშევარია, ხოლო აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება გამოხატვის თავისუფლების შესახებ კინოხელოვანებს ფართო მხატვრულ უფლებებს ანიჭებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ნაწარმოების შექმნისას ჭადრაკის ორ ექსპერტს ეყრდნობოდნენ და სერიალის შემქმნელებს არ სურდათ ნონა გაფრინდაშვილის შეურაცხყოფა. Netflix-ის დაცვის მხარე აღნიშნავს, რომ სერიალში მოსარჩელის ხსენება მიზნად ისახავდა მის აღიარებას და არა დამცირებას.

თუმცა, ხუთშაბათს გამოტანილ დადგენილებაში, მოსამართლე ვირჯინია ფილიპსი არ დაეთანხმა კომპანიის შუამდგომლობას და დამაჯერებლად მიიჩნია ნონა გაფრინდაშვილის არგუმენტი ცილისწამების შესახებ. ფილიპსმა ასევე აღნიშნა, რომ მხატვრული ნამუშევრები არ არის დაცული ცილისწამების შესახებ სარჩელებისგან, თუ ისინი რეალურ პიროვნებებს ამცირებს.

„ფაქტი, რომ სერიალი მხატვრული ნაწარმოებია, არ ათავისუფლებს Netflix-ს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისგან, თუ წარმოდგენილია ცილისწამების ყველა ელემენტი“, — აღნიშნულია სასამართლოს დადგენილებაში.

თავის დადგენილებაში მოსამართლე ფილიპსი ხაზს უსვამს, რომ სერიალის თემა უკავშირდება გენდერული ბარიერების გადალახვას. თუმცა, მისი თქმით, ეს შოუ შეიძლება განხილული იყოს, როგორც გამოგონილი პერსონაჟის მიღწევების გაძლიერება რეალური პიროვნების — ნონა გაფრინდაშვილის მიღწევების უგულებელყოფის ხარჯზე. მოსამართლის აზრით, სერიალის ნახვის შემდეგ, მაყურებელს შესაძლოა, დარჩეს შთაბეჭდილება, რომ გაფრინდაშვილს არასდროს უთამაშია მამაკაცებთან.

როგორც Variety წერს, Netflix-ს სასამართლოს დადგენილებასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

საქმის მოსამართლე ვირჯინია ა. ფილიპსმა შუალედური გადაწყვეტილება მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მოსმენის გარეშე მიიღო.

ნონა გაფრინდაშვილმა „ნეტფლიქსს“ გასული წლის სექტემბერში უჩივლა. საქმე ეხება „ნეტფლიქსის“ მინისერიალ „ლაზიერის გამბიტს“. როგორც სარჩელშია ნათქვამი, სერიალის ერთ-ერთ ეპიზოდში ნონა გაფრინდაშვილის კარიერული მიღწევების შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, „ნეტფლიქსის“ სერიალის ერთ-ერთ ეპიზოდში ნათქვამია, რომ გაფრინდაშვილს მამაკაც მოჭადრაკესთან არასდროს უთამაშია, რაც სიცრუეს წარმოადგენს. სარჩელში ნათქვამია, რომ „ლაზიერის გამბიტში“ აღწერილი ეპიზოდი 1968 წელს განვითარებულ მოვლენებს აღწერს, რა დროსაც გაფრინდაშვილს უკვე ჰქონდა ნათამაშები 50-ზე მეტ მამაკაც მოჭადრაკესთან.

სარჩელში აღნიშნულია, რომ „ნეტფლიქსმა“ განზრახ იცრუა, რათა ეპიზოდისთვის დრამატულობა შეემატებინა; რომ სერიალის გმირმა მიაღწია იმას, რაც არც ერთ ქალს, და მათ შორის ნონა გაფრინდაშვილს არ გაუკეთებია. სარჩელში ასევე ნათქვამია, რომ „ნეტფლიქსმა“ დამატებითი შეურაცხყოფა მიაყენა ნონა გაფრინდაშვილს, როდესაც ის რუს მოჭადრაკედ წარადგინა, იმის მიუხედავად, რომ საქართველო დღემდე ებრძვის რუსეთის აგრესიას. ნონა გაფრინდაშვილის ადვოკატები „ნეტფლიქსისგან“ ზარალის ასანაზღაურებლად სულ მცირე ხუთ მილიონ დოლარს და სადავო სცენის შესწორებას ითხოვენ.

ამასთან, ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის მიერ „ნეტფლიქსის“ წინააღმდეგ სარჩელის შესახებ „ბიბისიმაც“ დაწერა. მედიასაშუალების ცნობით, „ნეტფლიქსში“ აცხადებენ, რომ პატივს სცემენ ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე კარიერას, თუმცა ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ თავს დაიცავენ სასამართლოში.

რით ვიკვებებით, ხალხნო!

(მერვე გვერდიდან)

ტრადიციულად, საკვების დასატკბობად იყენებდნენ ხილს, კენკრას, ხილის წვენს, თაფლს, სიმლაშისთვის – მარილს, სიმჟავისთვის უმწიფარ ხილსა და ამჟავებულ ღვინოს, არომატისთვის – დარიჩინს, კამას, პიტნას, სიცხარისთვის – წიწაკას, პილპილს. დღეს კი ბიოლოგიურად აქტიური სასურსათო დანამატების მიმართ სკეპტიციზმია გაბატონებული. ისინი ქიმიურმა საკვებდანამატებმა შეცვალა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, ქიმიურად და სინთეზურად მიღებული საკვები დანამატები შეზღუდული რაოდენობით უნდა იყოს გამოყენებული და წარმოებულ პროდუქციაზე დატანილი უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნა.

საკვები დანამატები სამი ძირითადი მიზნით გამოიყენება: პროდუქტების კვებითი თვისებების გასაუმჯობესებლად, პროდუქტების შენახვის უზრუნველსაყოფად და პროდუქტებისთვის გარეგანი სახის გასაუმჯობესებლად. საქონლის ეტიკეტზე მხოლოდ ინდექსი E არის აღნიშნული, რაც „ევროპას“ ნიშნავს და ევროპის კომიტეტი თავად განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმისთვის დღე-ღამეში მისაღები საკვები დანამატების რაოდენობის მიღების აუცილებლობას. მაგალითად E_{100}- E_{182} – საღებავები, E_{200} – კონსერვანტები, E_{300} – ანტიდიოქსიდანტები და ჟანგშემანელებლები, E_{900}-E_{1521} – დამატკბობელი და ა.შ. ამ ნორმის დადგენას შესაბამისი ცოდნა და პასუხისმგებლობა ესაჭიროება და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიზანშეწონილია და აუცილებელიცაა მოითხოვოს, მიიღოს შესაბამისი კანონი, ან ინსტრუქცია (თუნდაც დადგენილების სახით), რათა კონტროლირებადი იყოს დანამატების ნორმები, დადგენა და პროდუქციაზე აღნიშვნა.

კიდევ ერთიც, პროდუქტებს, რომელსაც ადამიანი საკვებად იყენებს ნატურალური, ან გადამუშავებული სახით, მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისაა და მას აქვს ორგანიზმის ენერგეტიკული და აღმშენებლობითი ფუნქცია ამ პროდუქტებში შემავალი ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ერთობლიობის წყალობით (ამას მეცნიერები მიკრონურიენტებს უწოდებენ), მაგრამ არის პროდუქტები, რომლებიც გაჯერებულია სურნელოვანი ნივთიერებებით, საღებავებით, ბიოლოგიური და ქიმიური ნაერთებით – სხვაგვარად მათ „ბადებს“ ეძახიან. ყველას გახსოვთ და ჯერაც არ ჩამცხრალა ამაზე კამათი შიმშილობდა თუ არა საკანში მსჯავრდებული პრეზიდენტყოფილი, სამკურნალო პროდუქტებს ღებულობდა თუ საკვებდანამატებს და ა.შ. სწორედ ეს პროდუქტებია, რომელსაც დღევანდელ მსოფლიოში უამრავი ადამიანი სხვადასხვა დანიშნულებით ღებულობს. ამ საკვებდანამატებს არ სჭირდებათ აპრობირება, როგორც სამედიცინო პროდუქციას, არც ლაბორატორიული კვლევა, ექსპერიმენტები და წამალივით ტესტირება, უფრო მეტიც, რეგისტრაცია. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან **ნუტროცევტიკებად** და **პარაფარმაცევტიკებად**. ბევრი დიეტოლოგი და ექიმი მათ პაციენტებს უნიშნავს გახდომის ან გასუქების მიზნით, იყენებენ მსახიობები, იყენებენ ორგანიზმის ფუნქციის შესანარჩუნებლად, მოდელები და მოდასაყოლილები. ეს იგივე საკვებია.

დაბოლოს, მსოფლიოში სულ იზრდება ნატურალურ პროდუქციაზე მოთხოვნა. ბევრ ტურისტს უკვირს, რომ საქართველოსა და აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში შენარჩუნებულია ბაზრები, სადაც ნატურალური პროდუქცია იყიდება, რომელიც ჯანმრთელობისთვის ბევრად სასარგებლოა, ვიდრე თანამდეროვე სუპერმარკეტებში გამოფენილი ათასგვარი უცხოური წარმოების, ქიმიური საკვებდანამატებით გაჯერებული პროდუქტები, რომელსაც დანამატის რაოდენობის აღმნიშვნელი E ნიშანი ისე წვრილი შრიფტით აწერია, რომ შეუიარაღებელი თვალით ვერ გაარჩევ, სწორედ ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ რა რაოდენობის კონსერვანტს შეიცავს ესა თუ ის პროდუქცია შაქრის შემცველებით, შემასქელებლებითა და ათასგვარი ქიმიური საკვებდანამატებით. სწორედ ეს დანამატებია, რომლებიც თვეობით უნარჩუნებს სირბილეს იტალიურ ნამცხვრებს და სააღდგომო პასკას, საკონდიტრო ნაწარმს, ძეხვეულს, ენერგეტიკულ სასმელებს, რომლებიც ნატრიგლუკომატითაა გაჯერებული.

სულ ახლახან გაჩნდა მეტად დამაფიქრებელი და საკამათო ტერმინი – ინტუიციური კვება. ეს არის საკუთარ ორგანიზმზე საკვების მოთხოვნილებაზე დაკვირვება, რადგან ადამიანის არსებობა საკვების გარეშე წარმოუდგენელია, კიდევ ბევრი დაკვირვება, შესწავლა და მსჯელობა მოგვიწევს სანამ ყოველგვარ სიახლეს მივიღებთ საკვებად და გავითავისებთ. წამბაძველობით, ხომ ქართველებს ვერავინ შეგვედრება.

მალხაზ დოლიძე,
პროფესორი, კვების პროდუქტების ექსპერტი.

სულთათანა

რუზგენ ნარსიას არდავიწყება

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 70 წლის ასაკში, ოჯახს, კოლეგებს და ზუგდიდს გამოაკლდა და მარადისობას შეუერთდა ყველასთვის საყვარელი პიროვნება, სოფლის მეურნეობის ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი, ღვაწლმოსილი, ერთგული პიროვნება და მეგობარი რუზგენ ნარსია.

დაიბადა 1952 წლის 7 თებერვალს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაეუფლა უმაღლეს აგრონომიულ განათლებას. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე, რიგითი სპეციალისტიდან ხელმძღვანელი მუშაკის პოზიციამდე.

პრაქტიკული საქმიანობიდან და მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი ჯერ ჩამოყალიბდა საქმეში ღრმადჩახედულ სპეციალისტად, შემდგომ კი ბიზნესისა და მენეჯმენტის მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელად.

სადაც უმუშავია, ყველგან პატივისცემა და სიყვარული ღირსეულად დაუმსახურებია.

2000 წლიდან იგი ჩაერთო ბიზნესის სფეროში, სადაც სოფლის მეურნეობასთან ერთად მოუწია სამრეწველო დარგის ერთ-ერთი დიდი საწარმოს მართვა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ეს საწარმო ეკონომიკურად გამართული, მძლავრი გახდა.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას შეეძლო რთული საკითხების მოკლე ვადაში მოგვარება, რაც იწვევდა კოლეგებისა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციათა ხელმძღანელების კმაყოფილებას.

რუზგენ ნარსია გახლდათ უკეთილშობილესი ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიკეთის კეთებისთვის იყო მოვლენილი ამ ქვეყანაზე. მისმა გარდაცვალებამ დიდი გულისტკივილი მიაყენა ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს. გვიჭირს მისი ოჯახის ნუგეში. კოლხური ტრადიციული თვისებების მატარებელ პიროვნებას ალამაზებდა და გვერდში ედგა დიდი ქართული სტუმართმოყვარე ოჯახი: მეუღლე, ძვირფასი ქალბატონი თამილა მამფორია, საზოგადოებისთვის სასარგებლო და მისაბაძი შვილები: ხათუნა, ნანა და ალექსანდრე მეუღლეებთან ერთად. შვილიშვილები – სიდონია ჩაჩავა, თეკლე და ელენე კვარაცხელიები, ლიზი, ბარბარე და მარიამ ნარსიები, რომლებსაც შეუძლიათ იამაყონ კარგი მეუღლის, საყვარელი მამის და ბაბუის მიერ განვლილი გზით.

რუზგენ ნარსია თავისი ერთგულებით, სიყვარულით, მეგობრული თვისებებით და თბილი მიდგომით შემოგვრჩება მეგობრებს და გვჯერა, რომ თავისი ცხოვრების წესებიდან გამომდინარე, მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრებს ნათელ ადგილს. ჩვენ კი, მის მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, დავემორჩილოთ უფლის ნებას, ვილოცოთ მისი სულის უკვდავებისთვის, დავუნთოთ სანთლები და არასდროს დავივიწყოთ.

ჩვენო ძმაო და მეგობარო რუზგენ! რაოდენ დასანანია, რომ შენს მეგობრებს დღეს წარსულში გვიწევს საუბარი, არადა, როგორ ვემზადებოდით 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად, რომელიც, სამწუხაროდ, დაემთხვა შენი გარდაცვალების მე-40 დღეს. კარგო და ღირსეულო მეგობარო, დალოცვილი დაგეტოვებინოს საფიცარი ოჯახი და შენი ზუგდიდი...

უფალს ებარებოდეს!

უახლოესი მეგობრები

გამოავლინეს არადეკლარირებული თანხა

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“ და „თბილისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეების ე.ჰ.-სა და ზ.შ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 82 000 აშშ დოლარი გამოავლინეს, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 251 832.4 ლარი შეადგინა.

ტრაგედია ხობში

ხანძარმა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონში 28 წლის შვილი და 56 წლის მამა ხანძარმა იმსხვერპლა. ცეცხლი გვიან ღამით მაშინ გაჩნდა, როცა სახლში მამა-შვილი მარტო იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად საცხოვრებელი მთლიანად განადგურდა.

ადგილზე სამი სამაშველო ბრიგადა მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზად დაუდევრობა სახელდება. მომხდართან დაკავშირებით, დაწყებულია გამოძიება.

ჯუგაანში მეზობელი ქალის მკვლელობაში ბრალდებულის სახლი დაიწვა

სამარაულო შურისძიება თუ უბედური შემთხვევა?! – სოფელ ჯუგაანში, მკვლელობაში ბრალდებული მამუკა მოკვერაშვილის საცხოვრებელ სახლს გვიან ღამით ცეცხლი გაუჩნდა, დამწვარია სახლის სახურავი და კარ-ფანჯარა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. პოლიციამ ხანძრის გაჩენის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. ცნობისთვის, 47 წლის მამუკა მოკვერაშვილმა მეზობელი ქალი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით მოკლა. მას ბრალი გუშინ ოფიციალურად წაუყენეს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

დახმარებისა და რეკლამის მსურველნო!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სკოლებში სასწავლო პროცესი დასწრებული ფორმით გრძელდება!

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის თამარ მახარაშვილის განცხადებით, სკოლებში სასწავლო პროცესი დასწრებული ფორმით გრძელდება.

მისივე თქმით, მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა და ახლაც ტარდება, რათა სასწავლო პროცესი საკლასო ოთახში წარიმართოს.

„უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში გაგრძელდება, ვინაიდან ბავშვის განვითარებისთვის ბუნებრივ გარემოში სწავლა არის უმნიშვნელოვანესი. მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა და ახლაც ტარდება, რათა ჩვენ სასწავლო პროცესი საკლასო ოთახში შევინარჩუნოთ. ორი წლის განმავლობაში საკმაო

გამოცდილება შეიძინეს სკოლებმა, მათ აქვთ ძალიან დეტალურად გაწერილი პროტოკოლი, რომელსაც მიჰყვებიან და ამ პროცესში ჩართულია ყველა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საგანმანათლებლო რესურსცენტრები და სკოლები. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, თუმცა მთავარია, რომ ისინი არიან აღჭურვილი შესაბამისი ცოდნით, როგორ მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით, დღესაც ყველა მშობელს ეძლევა საშუალება, აირჩიოს დისტანციური სწავლების ფორმა, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლიან. მინდა, გაგაცნოთ სტატისტიკა – ჩვენ გვაქვს 2 085 საჯარო და 217 კერძო სკოლა, რომელთაგან ამ ეტაპზე ჯამში 201 სკოლაა გადასული დისტანციური სწავლების ფორმაზე. ეს ის ციფრია, რომლის გაჟღერებაც აუცილებლად ჩავთვალე საჭიროდ.

მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება მასწავლებელთა სავალდებულო ტესტირებაც. ამ პროცესში ჩართულია არა მხოლოდ ჯანდაცვის სეგმენტი, არამედ თავად სკოლის ექიმებიც. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად უზრუნველვყავით 400-ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლის ექიმის გადამზადება, რათა ისინიც ჩაერთონ ამ პროცესში. ინფიცირების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად იზრდება ჩვენი მუშაობის ტემპი და ჩართულობა მართვის პროცესში. სკოლებს აქვთ წინასწარ გაწერილი, უკვე აპრობირებული ჯანდაცვის პროტოკოლი. ზუსტად ვიცით, სად რას ვაკეთებთ და როგორ ვიქცევით. რასაკვირველია, ჩვენი მხრიდან ეს პროცესი ასმაგად კონტროლდება.

მოვუწოდებ სრულიად სასკოლო საზოგადოებას, გამოიჩინონ მაქსიმალურად მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და დაგვეხმარონ, რომ სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში შევინარჩუნოთ. ჩვენი მხრიდან ამისთვის ძალისხმევას არ ვიშურებთ“!

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გაღასარჩენია!

რეკლამა განათავსეთ, იყიდეთ, გამოიწერეთ, ეს ყოველდღიური საუკუნოვანი გამოცემა!

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

„ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

1 თებერვლიდან აღმოსავლური ახალი წელი დადგა

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, ე.წ. მთვარის კალენდრის მიხედვით, ახალი წელია. ამ ქვეყნებში, სწორედ გუშინ დასრულდა ხარის წელი და დაიწყო ვეფხვის.

BBC-მ გამოაქვეყნა ფოტოკოლაჟი, რომელზეც ასახულია, როგორ აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყანაში ამ დღეს.

რიანას ფონდი - კლიმატის დასაცავად

ბარბადოსელმა მომღერალმა რიანამ თავისი ფონდიდან, Clara Lionel Foundation-დან, კლიმატური მართლმსაჯულებისთვის 15 მილიონი დოლარის გაღება გადაწყვიტა.

მომღერლის ქველმოქმედება კარიბის ზღვის შვიდ ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯამში 18 კლიმატურ სამართლებრივ ორგანიზაციას, მათ შორის Climate Justice Alliance-ის, Indigenous Environmental Network-სა და Movement for Black Lives-ს დააფინანსებს. რიანას განცხადებით, კლიმატური კატასტროფების სიხშირე და ინტენსივობა განსხვავებულ გავლენას ახდენს საზოგადოებებზე, ფერადკანიანი და კუნძულოვანი ქვეყნების ერებზე კი კლიმატური ცვლილებები განსაკუთრებულად მოქმედებს. მისივე განცხადებით, ფონდი, რომელიც მომღერლის ბებია-ბაბუის სახელს ატარებს, პრიორიტეტად როგორც კლიმატურ მდგრადობას, ასევე კლიმატური მართლმსაჯულების მუშაობას მიიჩნევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 3 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0518; ევრო - 3.4104;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1028;
100 რუბლი - 3.9312; თურქული ლირა - 0.2270;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7920;
1000 სომხური დრამი - 6.3184.

ამინდი 2 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge